# საქართველოს ქალი

2002

645
2002



## მეგი შონია – „საქართველოს ფერია – 2002“

№ 11-12

გილოცავთ

ახალ წელს!

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

●

მთავარი რედაქტორი

ლია კაკაბაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი


დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali“

Georgian Woman. A Magazine for Women




ვულოცავთ

# ერის მამობის, ქართველის ბედის ჯვარისმტვირთველი

მეოთხედი საუკუნეა მას აქეთ, რაც განგებამ ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას შვებად და ნუგეშად გამოუჩინა მისი ნამდვილი მოჭირნახულე, მასზე დაუცხრომლად მლოცველი, მის შვილებზე უბადლო მზრუნველი და უსაზღვროდ შეყვარებული, ოდენ უფლის მოიმედე მწყემსმთავარი...

მეოთხედი საუკუნე არ არის დიდი დრო, მაგრამ ამ ოცდახუთმა წელმა მთელი ეპოქა დაიტია — ქართული ეკლესიის აღმშენებლობის, ერის სულიერი გამოღვიძების, ქვეყნის მიერ გადატანილი ქარტეხილების უდიდესი ეპოქა, რომლის სიმკაცრეს, სირთულეს, სიცივესა და სიმუხთლეს ფარად უხვდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვითა და სიყვარულით ანთებული გული.

მისი აღსაყდრება ქრისტეშობისთვეში ჭეშმარიტად გაზაფხულის მოსვლას ჰგავდა სუსხსა და ყინვაში ჩაფლულ, ძილსმიცემულ ქვეყანაში. მარტის თვესავით ჭინჭყლი გამოვდექით და მოტანილ გაზაფხულის სითბოსა და მზის სხივებს დღემდე ზამთრის სიცივესა და ღრუბლებს ვურევთ ხოლმე. ის კი გვავიწყდება, რომ, როგორც ერთმა გამოცდილმა ბერმა თქვა, ჩვენ მხოლოდ მთის ძირას ვდგავართ, პატრიარქი კი მთის მწვერვალზე დგას და იქიდან იყურება; ჩვენ მარტოოდენ უნდა მივენდოთ და მივყვეთ მას, მამულის, ერის, ეკლესიის, მთელი ქვეყნიერების „ძარღვის ცემას ვინც ყურს უგდებს სულგანაბული“...

დღეს აღსაყდრების ოცდახუთ წლისთავს ვულოცავთ ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს:

საუფლო კვართის მადლი გეწეოდეთ,
ქრისტეს სამსჭვალი გაძლიერებდეთ,
დედა-ღვთისმშობლის საფარველი გიცავდეთ,
ყოვლადწმიდა მარიამის კვართი გიფარავდეთ,
ჯვარი ვაზისა განიჭებდეთ ზეციურ შვებას,
მადლის ქვა სიმტკიცეს გმატებდეთ,
ყოველთა წმიდათა ლოცვა მადლის წყაროს გიუხვებდეთ და სამწყსოს გიმთლიანებდეთ!!!

სულითა და გულით, სითბოთი და სიყვარულით, შვილობრივი სიხარულით გეალერსებით „ძენი შეცთომილნი“, თქვენს ხელს მუხლმოყრილნი ვეამბორებით და ვითხოვთ თქვენგან ლოცვა-კურთხევას, ჩვენო პატრიარქო, დიდო მეუფეო ყოველთა ქართველთაო!

ვახტანგ ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პრეზიდენტი
## ქალბატონ ნუნუ გოგობერიშვილს

**ღრმად პატივცემულო ქალბატონო ნუნუ,**

არ დაგიმალავთ, უდიდესი სიხარული მომანიჭა თქვენმა სამადლობელო წერილმა და იმ თბილმა სიტყვებმა, რომლითაც მომმართეთ.

ბედნიერი ვარ, თუ ამჟამინდელი მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, ჩვენი სახელმწიფო მაინც დგება ფეხზე და პრეზიდენტს აქვს საშუალება დაეხმაროს გაჭირვებაში აღმოჩენილ მოქალაქეს. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება დედის მოუშუშებელ ტკივილს დავრდომილი შვილის გამო.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი კეთილი სურვილი ზაზასა და მარინეს, მათ პატარა გოგონას, რომლის ბედნიერება და სიხარული ამჟამად უმთავრესი ამოცანაა.

გისურვებთ ბედნიერებასა და წარმატებას. თქვენ ეს დაიმსახურეთ, როგორც ღირსეულმა დედამ და მოქალაქემ.

**ღრმა პატივისცემით ედუარდ შევარდნაძე**

# რატომ მიყვარს ჩემი პრეზიდენტი



თბილისელი ექიმი-კოსმეტოლოგი ნუნუ გოგობერიშვილი პირველი ჯგუფის ინვალიდების ზაზასა და მარინეს დედა და დედამთილია. 18 წელია უქმრო ქალი (მეუღლე ავტოკატასტროფაში დაეღუპა) სათაყვანებელი ვაჟის სიკვდილ-სიცოცხლის სადარაჯოზე დგას და შეუპოვრად ებრძვის მის მძიმე დაავადებას (ტრავმის შედეგად ხერხემალი დაუზიანდა და ქვედა კიდურების მოძრაობის უნარი დაკარგა). მებრძოლი დედა არ ემორჩილება ბედს, ტკივილისა და წუწუნის გარეშე უმსუბუქებს მდგომარეობას შვილსა და რძალს.

ამ ორი წლის წინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დეპუტატ ვალერი გელაშვილის ერთობლივი ძალისხმევით ზაზას და მარინეს მძიმე ოპერაციები ჩაუტარდათ და მდგომარეობა შედარებით გამოუკეთდათ. მერე ცნობილი მეან-გინეკოლოგების დახმარებით ჯანმრთელი გოგონაც შეეძინათ.

გოგობერიშვილების ოჯახის მტკივნეულ პრობლემად ბინა რჩებოდა, რადგანაც ცოლ-ქმარი ბავშვთან ერთად ნახევრადსარდაფში ცხოვრობდა. გამჭრიახმა დედამ აქაც იმარჯვა და კეთილი ადამიანების დახმარებით საქართველოს პრეზიდენტს მიაწვდინა ხმა...

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება და ახალგაზრდებს გამონაკლისის სახით ისანი-სამგორის რაიონში ოროთახიანი ბინა გამოუყვეს. ქალაქის მერიამ და რაიონის გამგეობამ სპეციალურად მათთვის ჩაატარეს ევრორემონტი ახალი სტანდარტებით, სადაც ინვალიდების ეტლები პანდუსით პირდაპირ პირველ სართულზე, მათ ბინაში შედის.

დაჩაგრული ოჯახისთვის ეს იყო დიდი საჩუქარი. ქალბატონმა ნუნუმ მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს მადლობის წერილი გაუგზავნა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება და აღტაცება, როდესაც ბატონმა პრეზიდენტმა წერილითვე უპასუხა და მისი დედობა ღირსეულად შეაფასა.

– აი, რატომ მიყვარს ჩემი პრეზიდენტი, – საქვეყნოდ აცხადებს ნუნუ გოგობერიშვილი და თავის განწყობას გვიზიარებს.

თუ ვინმე მკითხავს, ვინ არის საქართველოში ყველაზე ღირსეული პიროვნება, ვინც ნამდვილად ფიქრობს ხალხის ბედსა და ქვეყნის მომავალზე, თამამად შემიძლია ვუპასუხო – ეს ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია. იგი ღმერთმა მრავალმხრივი ნიჭით დააჯილდოვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას ადამიანების ხედვის უნარი დაანათლა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა პრეზიდენტმა არ დაიშურა დრო, თბილი წერილი გამომიგზავნა და ეს ტანჯული გული გამამხნევებელი სიტყვებით გამითბო. მე ჩემი დედობითა და მოქალაქეობით ვალდებული ვარ ამ ძნელბედობის ჟამს მხარში ამოვუდგე, მისი საქმიანობა კეთილად დავლოცო და ჩემს გარშემო მყოფთ მისი კეთილშობილება ვაუწყო, ეს დღეს აუცილებელია, რადგან ხშირად მესმის უსამართლო და უსაფუძვლო საყვედურები. ჩვენს მიერ არჩეულ სახელმწიფოს მეთაურს გაფრთხილება და მხარში დადგომა სჭირდება. პრობლემები მართლაც ძალიან ბევრია, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ახალ ქვეყანას ვაშენებთ და ათი-თორმეტი წელი ისტორიისთვის ძალზე მცირეა. ეს იცის პრეზიდენტმა და ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად გადაჰყავს ქვეყანა ახალ წყობაზე. დავდგეთ ყველანი ერთად და აი, მაშინ ვნახავთ, რა გზით წავა ჩვენი სამშობლო, როგორ შეიცვლება სასიკეთოდ ყველაფერი.

უაღრესად ვაფასებ ჩემს პრეზიდენტს, რომელიც ავირჩიე და ბოლომდე მისი ერთგული ვიქნები.

ჩემი ოცნებაა, შემახვედრა პრეზიდენტს და გულწრფელად მათქმევინა: ღმერთი იყოს საქართველოსი და თქვენი მფარველი.

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაღის სამიტი

# რასაც ვნატრობდით



აღსრულდა. 21-ე საუკუნის პირველი წლის დამთავრებას ბევრიც არ აკლდა, 21-22 ნოემბერს, პრაღაში, „მზიანი შემოდგომის" ქალაქში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების ისტორიული სამიტი რომ გაიმართა. იგი ისტორიული იყო იმითაც, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის სამწუთიან გამოსვლაში ნატოში საქართველოს გაწევრიანების სურვილი გამოთქვა. ბატონი ედუარდი ერთადერთი და პირველი გახლდათ დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა შორის, რომელმაც იკისრა ყველა იმ მოთხოვნის და პირობის განხორციელება, რაც აუცილებელია ამ საპატიო წევრობის მოსაპოვებლად. ამ განაცხადით საქართველომ კიდევ ერთხელ მიიპყრო მსოფლიოს პოლიტიკოსთა ყურადღება და ბევრის კეთილი განწყობა დაიმსახურა.

აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელიც პეტერბურგში პუტინთან შესახვედრად მიემგზავრებოდა, დარბაზიდან არ გამოსულა, ბოლომდე უსმენდა. ამის შემდეგ მან ბატონ ედუარდთან ცალკე შეხვედრა ითხოვა. პრაღიდან თბილისში დაბრუნებული საქართველოს პრეზიდენტი ჟურნალისტებთან საუბრისას იტყვის: „პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრა ძალიან პრობლემატური იყო. პრაღაში მას მხოლოდ ორი-სამი შეხვედრა ჰქონდა — ერთადერთი მთავარი ამოცანა მისთვის პეტერბურგში ჩასვლა იყო. მან მოუცადა ჩემი გამოსვლის დამთავრებას. მე მანიშნეს, რომ იგი მზად არის შემხვდეს ასეთი შეხვედრისათვის განკუთვნილ ოთახში, სადაც მისი თანმხლები პირებით მელოდებოდა".

პირადი საუბრისას ჯორჯ ბუშმა დადებითად შეაფასა საქართველოს პრეზიდენტის დამსახურება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამიტზე ჯორჯ ბუში მიესალმა ნატოში ახლადგაწევრიანებული ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკიის, სლოვენიის წარმომადგენლებს და აღუთქვა: „ის, ვინც თქვენ გიმტრობთ, ჩვენი მტერიც გახდება, აგრესიასთან დაპირისპირებისას თქვენ აღარასოდეს იქნებით მარტონი".

ამ ნათქვამმა მარტო 7 სახელმწიფოს მისამართით როდი გაიჟღერა, ნატო დაიცავს ყველა თავის წევრს ტერორიზმის, სეპარატიზმისა და აგრესიისაგან.

აღსრულდა. ნატო საქართველოს მშვიდობიან მომავალსაც დაიცავს. და, რაც მთავარია, მასში გაწევრიანების გზა უფრო დამოკლდა. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა სამიტზე განაცხადა, ამ გზის გასავლელად საქართველო დააკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს და მოთხოვნებს. ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს მომავალ შრომატევად, საპასუხისმგებლო საქმიანობაში ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ეს მხარდაჭერა განამტკიცა სამიტზე მიღებული დეკლარაციის მე-15 პუნქტმა — ნატომ მოთხოვა რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანა. დეკლარაციაში ისიცაა დაფიქსირებული, რომ ნატო დაეხმარება საქართველოს მომზადების ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და განხორციელებაში.

პრაღის სამიტზე მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებანი საქართველოსთვის კარგი საახალწლო საჩუქარია.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სად დაიწერა „იავნანამ რა ჰქმნა?“



– მაშინ ეს დერეფნები არ იყო მიშენებული. აი აქ, სწორედ იმ ოთახის პატარა კარი იყო, სადაც მუშაობდა ხოლმე იაკობ გოგებაშვილი. – გვითხრა ჩვენმა რესპოდენტმა და მემორიალურ დაფაზე მიგვანიშნა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა კასპის რაიონის „საკავთისხევო“ სოფელ თვალადში. შეიცვალა გარემო, ხალხი, დრო. უცვლელი დარჩა მხოლოდ მადლიანი ჰაერი და ქართლის ამ ლამაზი სოფლის განუმეორებელი კოლორიტი.

ეს შენობა იყო ქართველი საზოგადო მოღვაწის – ნიკოლოზ (ნიკო) ცხვედაძის სახლი, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა სკოლას.

ცხვედაძეებს თვალადელებმა მეტსახელად „უჩიტლიაანთი“ შეარქვეს. ასე ეძახიან მათ დღესაც. ალბათ, ამგვარად გამოხატა ხალხმა თავისი სითბო ნიკო ცხვედაძის ამაგისა და ღვაწლის მიმართ;

სახლში, სადაც ადრე ნიკო, იაკობი, ილია და 60-იანი წლების სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები იკრიბებოდნენ, დღეს დედაენას ეცნობიან, სწავლობენ და იყვარებენ პატარები. გვაგონდება იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობასა და სულის მოძრაობას, მხოლოდ დედაენა ჰხატავს სინამდვილითა და სისრულით“. სამწუხაროდ, დღეს თანამედროვე ცხოვრების დინამიკის, ჩვენი გაუთავებელი მოუცლელობისა და უამრავი პრობლემის გამო, ცოტა თუ ფიქრობს იმაზე, რომ „ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ყმაწვილისა, დაადგეს ჯეროვან გზას“ (ი. გ.). უფრო მეტიც, განათლების სისტემაში არსებული ქაოტური მდგომარეობა. ნაკლებად ადარდებს ჩვენს საზოგადოებას. საბედნიეროდ, სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა თვალადის საშუალო სკოლამ. აქ კარგად ახსოვთ სკოლის მდიდარი ტრადიცია და ღირსეულად აგრძელებენ მას.

სკოლის ისტორიაზე ქართული ლიტერატურის პედაგოგი ქ-ნი დარეჯან ქიტუაშვილი გაგვესაუბრა:

– ჩვენ სკოლასთან ურთიერთობა ჰქონდათ 60-იანი წლების გამოჩენილ მოღვაწეებს: იაკობ გოგებაშვილს და ილია ჭავჭავაძეს (როდესაც იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე იყო). ისინი აქედან უძღვებოდნენ თავიანთ საქმიანობას. მაშინ. როდესაც ნიკო ცხვედაძე აქ ცხოვრობდა (ვიდრე სახლს სკოლას გადასცემდნენ), იაკობი თვეობით რჩებოდა ხოლმე მასთან. იაკობს ჯანმრთელობა ჰქონდა შერყეული (ტუბერკულოზით იყო დაავადებული) და ძალიან უხდებოდა აქაური ჰავა. „ეს ისეთი ადგილია, რომელიც შეზავებულია ჰაერით, მარილითა და მადლითა“. იაკობ გოგებაშვილი თურმა ჩვენს თვალადზე ამბობდა, პატარა შვეიცარიააო. სწორედ ჰაერის გამო უმეტეს დროს იაკობი ეზოში ატარებდა. სწორედ ამ პერიოდში, პატარა ოთახში, სადაც იაკობი მუშაობდა ხოლმე, დაიწერა მისი უკვდავი ქმნილება „იავნანამ რა ჰქმნა?“ ისიც აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების ნაწილი გუდალეთში დაიწერა.

ნიკო ცხვედაძემ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, როგორც კი თავისი სახლი გადასცა ღარიბ სოფელს, აქ იმ დღიდანვე დაარსდა დაწყებითი სკოლა. შემდგომ იგი არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა, ხოლო ახლა უკვე მეთორმეტე წელია, რაც სრული საშუალო სკოლა გვაქვს. ადრე მოსწავლეთა კონტიგენტი მეტი იყო. გვყავდა პარალელური კლასები (რადგან თვალადში მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობაა). სამწუხაროდ, ჩვენ სოფელშიც, ისევე როგორც სხვაგან, შეიმჩნევა ხალხის მიგრაცია და სკოლაშიც იკლო მოსწავლეთა რაოდენობამ.

***– როგორც ვიცით, თქვენი სკოლა სხვა ცნობილ მოღვაწეთა სახელებსაც უკავშირდება...***

– როდესაც სკოლა გაიხსნა, პირველი მასწავლებელი ცნობილი პოეტისა და მწერლის გიორგი შატბერაშვილის მამა – ბატონო ივანე შატბერაშვილი გახლდათ. იგი დაწყებით კლასებს ხელმძღვანელობდა. შემდეგ სკოლას ნინო ცალქალამანიძე უძღვებოდა, ხოლო რაჟდენ რაზმაძის დროს (1965 წელს), დაწყებითი სკოლა არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა.

***სკოლის ამჟამინდელი დირექტორი – ბატონი უშანგი ცალქალამანიძეა. ჩვენ მასთან გასაუბრების საშუალებაც მოგვეცა.***

***– ბატონო უშანგი, როგორი მდგომარეობა გაქვთ დღეს სკოლაში?***

– სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. კადრები დაკომპლექტებულია შესანიშნავი პედაგოგებით. რაიონში ჩვენს კოლექტივს იცნობენ როგორც ერთ-ერთ საუკეთესოს. აღსანიშნავია, ჩვენი მასწავლებლების პედაგოგიური გამოცდილება, მათი ტაქტიკა და, რაც მთავარია, ცოდნა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელფასებს გვიგვიანებენ (რამდენიმე თვის დავალიანებაა), სკოლაში არც ერთი საათი არ გაცდენილა. ჩვენ ბავშვებს ვერ ვუღალატებთ.

***– სხვა რა პრობლემები გაქვთ?***

– პრობლემები, რა თქმა უნდა, გვაქვს – ჩვენი შენობა უკვე მოძველდა და კაპიტალური შეკეთება სჭირდება. ეს ძალიან გვაფიქრებს, რადგან კედლებზეც საკმაოდ დიდი ბზარებია გაჩენილი და მიწისძვრას ან სხვა სტიქიურ შემოტევას ველარ გაუძლებს. ადრე თითქოს გამოიყო მიწის ნაკვეთი ახალი სკოლისათვის, პროექტიც შედგა, მაგრამ ამაზე შორს საქმე არ წასულა. მართალია, ადგილობრივი და რაიონული ხელმძღვანელობა საკმაოდ გვიწყობს ხელს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

***– როგორი სიტუაციაა სახელმძღვანელოების მხრივ?***

– სახელმძღვანელოების პრობლემაც გვაქვს. მაღალი ფასების გამო მშობლები მათ შეძენას ვერ ახერხებენ. თუ სამ-ოთხ ბავშვზე ერთი სახელმძღვანელო მაინც არის, ესეც გვახარებს.

***– მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რა სიახლეებია სასწავლო პროცესში?***

– რეფორმების შესაბამისად ცვლილებები ჩვენი სკოლის სასწავლო პროცესშიც მიმდინარეობს. გამოიკვეთა ბავშვების ფუნქცია. ჩვენ მათ დამოუკიდებელ მუშაობას ვაჩვევთ და ისინიც უფრო გააქტიურდნენ.

თვალადის სკოლის მასწავლებლებთან და დირექტორთან სკოლისა და განათლების საკითხების გარდა სიფლის მდგომარეობაზე, სოციალურ და სხვა ზოგად საკითხებზეც ვისაუბრეთ.

სკოლის დირექტორი – ბატონი უშანგი ოპტიმისტურად არის განწყობილი ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისადმი და სწამს, რომ ის დღეც მალე დადგება, როცა რაიონის ხელმძღვანელობას საშუალება მიეცემა იზრუნოს ახალი სკოლის მშენებლობისთვის.

თეა იაკობაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი ბაბუის საოცნება — პატარა

„ლამაზად შვილის აღმზდელი, დედა მიცვნია ღმერთადა" — ბუმბერაზი მწერლის ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით ესადაგება მურღულიების ოთხი თაობის მომცველ ჩვიდმეტსულიან ოჯახის თავქალს, ქალბატონ მარგოს. სამი ჭეშმარიტი მამულიშვილი აღზარდა მეუღლესთან ბატონ ბიძინასთან ერთად — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გია, არქიტექტორი მერაბი და გინეკოლოგი ზურაბი, ჰყავთ ექვსი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. გვესაუბრებიან ქ-ნი მარგო და ბ-ნი ბიძინა.

***– ქ-ნო მარგო, ღირსეული ვაჟკაცების დედა ხართ, სამივენი გამორჩეულები, ცნობილები არიან, როგორ შეძელით?***

– ვთვლი, რომ ერთი ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს, კარგი შვილები ღვთის წყალობაა. გია რუსეთის ფედერაციის პედაგოგიური აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მიუხედავად ჩვენი დაჟინებული თხოვნისა, პროფესორობაზე უარი თქვა, ჩვენთან ყველაფერი ისეა გაუფასურებული, ეს ტიტული არაფრად მიღირსო. მერაბი მშენებლობის სამინისტროში არქიტექტორია, ზურაბი ქალაქის პირველ საავადმყოფოში – გინეკოლოგი. ზურიკოს გაჩენა არ მინდოდა, ეხლა ვფიქრობ, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ის რომ არ გვყავდეს, ყოველდღე მოდის, ჯანმრთელობას მიმოწმებს, წნევა შემომეჩვია, ძმები დღესაც ზურიკოს იფიცებენ. სამივენი ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

***– როგორც დედა, რამე საიდუმლოს ხომ არ ფლობდით, ასეთი პატიოსანი, ჯანმრთელი, სახელოვანი შვილები რომ აღზარდეთ, მკაცრი, ლმობიერი თუ მეგობრული იყავით მათ მიმართ?***

– არ მქონდა უფლება მკაცრი და პრინციპული დედა არ ვყოფილიყავი, ბიჭების აღზრდა, მოგეხსენებათ, ძნელია, სულ მათზე ვიყავი გადაგებული, სხვა ინტერესებით არ მიცხოვრია, სულ ჩემი კონტროლის ქვეშ იყვნენ, დაგვიანების უფლება არ ჰქონდათ. ათ საათს ვერ გადააცილებდნენ, უნდა მცოდნოდა, სად იყვნენ, ვისთან მეგობრობდნენ, ახლა მომეცა საშუალება განმარტოების, ამიტომაც ვცხოვრობთ ამ კოპწია ბინაში მე და ბიძინა. თავისუფლად გვყოფნის, ბედნიერად ვთვლი თავს.

***– ბატონი ბიძინა ერეოდა შვილების აღზრდაში, თუ დამხმარე ვინმე გყავდათ?***

– ბიძინა ძალზე დაკავებული იყო, დღე და ღამე გასული იყო სახლიდან, ვინც მას იცნობს, იცის, როგორი პატიოსანი, ერთგული მუშაკიც იყო, ყოველთვის კარგ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ ზედმეტი ფულით, ფუფუნებით არასოდეს ვყოფილვართ განებივრებულები, დამხმარე ქალიც კი არ მყოლია, დედაჩემი მეხმარებოდა, ბიჭები კარგად სწავლობდნენ, არავითარი რეპეტიტორი არ სჭირდებოდათ, ყოფაქცევაშიც სამაგალითონი იყვნენ.

***ბატონი ბიძინა შემოგვიერთდა და ჩვენს საუბარში ჩაერთო:***

– 35 წელზე მეტი ვიმუშავე იმ დაწესებულებაში, რომელიც ქალაქის კეთილმოწყობას, აღმშენებლობას, გამწვანებას, დაპროექტებას, დასუფთავებას, წყალმომარაგებას განაგებდა. ჩემთვის ყველაზე დიდი მეტროს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის მიღებული ჯილდოა, ამიტომაც ვთვლი თავს დედაქალაქის მემატიანედ. ჩემს მოღვაწეობას ემთხვევა ვაკესაბურთალოს გზის მშენებლობა, გორგასლის ძეგლის გახსნა, სპორტის სასახლის შემომატება, მოკლედ ყველაფერი, რაც იმ წლებში შეიქმნა. მოწმე გახლავართ იმისაც, კანონების დარღვევით როგორ დაიწყო მეტროს, სპორტის სასახლის მშენებლობები, გავიტანეთ კანონის ავლით და შეგვრჩა. ამჟა-



● მეუღლეები მარგო და ბიძინა

მად მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს გენერალური დირექტორი გახლავართ, მერე რად გინდა, არ ვეთანხმებოდი იმ მახინჯი შენობების წამომართვას „ალექსანდროვისა" და „ორჯონიკიძის" ბაღებში, ან კომკავშირის ხეივანში რა უნდა ვეებერთელა სასტუმროებს, ვერაფერი გავაწყვე, თანხმობა არ მივეცი, სასამართლოს გადაწყვეტილებები დამიდეს მაგიდაზე. რას ვიზამდი, ასე „დამითანხმეს".

***– ხომ არ გწყინთ, როცა ამბობენ, გია მურღულიას მამაო?***

– მე ჩემი ბიოგრაფია მაქვს, ხომ იცით გამოთქმა „ის ურჩევნია მამულსა..." არქიტექტორთა წრეში მერაბის მამა ვარ, მედიკებში – ზურიკოსი.

***– ბიჭებმა სპეციალობები თავად აირჩიეს თუ თქვენც აქტიურად ჩაერიეთ?***

– მხოლოდ ზურიკოზე დაიჩემა მარგომ, ერთი ექიმი იყოსო და აიხდინა ჩანაფიქრი.

***– ბატონო ბიძინა, თვლით, რომ ტკბილი, ჰარმონიული, ნამდვილი ტრადიციული ქართული ოჯახი გაქვთ?***

– ჩემის აზრით ცუდი ქმრისგან ქალი სამ შვილს არ გააჩენს. ჩემთვის ნამდვილი ბედნიერება იყო, როცა დაძაბული მუშაობის შემდეგ ოჯახში მხვდებოდა ნამდვილი მეუღლე, მარგო ამის დიდოსტატია. თუმცა არის რაღაცეები, რაშიც არა გვაქვს საერთო აზრი, მე უფრო დამთმობი ხასიათი მაქვს, ვარ პრინციპული და არა ჯიუტი, სადაც მიმუშავია, თეთრი ყვავივით გამოვიყურებოდი, ისე ვეკამათებოდი უფროსებს. ხასიათით გია უკომპრომისოა, მე უფრო მგავს, მისთვის არ არსებობს ავტორიტეტი. მართალია, ხშირად აგებს კიდეც, მაგრამ თავისი გეზით მოქმედებს. მე-10 კლასამდე ბიჭების ყველა საიდუმლო ვიცოდი, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი, ვიცოდი, როდის მოწიეს პირველი სიგარეტი, არ დამიმალია, ვიცოდი, რომ უყვარდათ, ვუთანაგრძნობდი, ხელს ვუწყობდი, ფულს ვაძლევდი, აბა სხვა რა არის მშობლის მოვალეობა! არ დამავიწყდება: ერთ-ერთის სასიდედრო

# აქტრისა მანანიკო



● გია შვილიშვილთან



● ზურიკო შვილებთან

სამსახურში მეწვია, ვილაპარაკეთ, დავრწმუნდი, რომ ისინი მართლები იყვნენ, სწორი არჩევანი გააკეთეს. მე და მარგო ვთვლით, რომ სამივე რძალი ჩვენი ქალიშვილია, მანანა დედას ეძახის, ლიკა – მარგუშკას, ელისო დეიდას. მარგო მანანასკენ ოდნავ იხრება, ალბათ პირველია და იმიტომ.

***– ქ-ნო მარგო, ბატონი გია მურღულია საინტერესო, ზედმიწევნით განსწავლული, პოპულარული პედაგოგი, ჩვენი ჟურნალის ავტორი, როგორი ბავშვი იყო: ცელქი, თავნება, თვითდაჯერებული, ჯიუტი?***

– უაღრესად დინჯი, პატარაც კი – დიდი კაცი, ჭკუასაკითხავი, უპრეტენზიო. ახლაც არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. უაღრესად პატივისმცემელია ჩვენი. ამ დღეებში ქორწილი გვქონდა, ზურიკოს ვაჟმა ცოლი ითხოვა, გიას ერთ ხელში შვილიშვილი ეჭირა, მეორეთი მეხვეოდა და ისე ვცეკვავდით, დედის გულის მოგებას მეტი რა უნდა. შვილებს ვერ ვარჩევ, გიჟი დედა კი ნამდვილად ვარ, სხვა სიმდიდრე არაფერი გამაჩნია. საქართველოში ტენდენციაა, ვინც რაიმეს აკეთებს, ხელს უშლიან, ასე მოუვიდა გიას. ბევრს ლაპარაკობდნენ მასზე, 23-ე სკოლაში რომ ასწავლიდა, აპარატურით აღჭურვილი მდიდარი კაბინეტი გააკეთა, ფონოგრამებს იწერდა, თითოეულ მოსწავლესთან მუშაობდა, ახლებური ხედვით, ახალი მიმდინარეობა ჩამოაყალიბა პედაგოგიკაში, ექსცესები მოუწყვეს, მოსწავლეები იმუქრებოდნენ, სკოლას გადავწვავთ, თუ გია წავაო. რაიკომის მდივანი აზიროვი იყო, პარტიაში არ მიიღო, მოსწავლეებს რყვნის, ბიბლიას უკითხავს, რელიგიაში არკვევსო, რაიკომის ბიუროზე გიას მარქსის სიტყვები მოუშველიებია, მუშათა კლასის იდეები ემთხვევა ქრისტიანულ მოძღვრებასო, ასე გადაირჩინა თავი.

***– ბატონო ბიძინა, კურიოზებს ხომ არ გაიხსენებთ?***

– იყო ღელვა, ზოგჯერ უსაფუძვლო ეჭვიანობაც, სერიოზულობაში არასოდეს გადაზრდილა, ყოველ შემთხვევაში, ბავშვების ყურამდე არასოდეს მისულა, ისინი ყველაფრისაგან დაცულები იზრდებოდნენ, ბავშვის სათუთი გული როგორ შეიძლება მშობელმა არ დაინდოს, ან რაიმეს გამო ისპეკულიანტოს. აქედან იწყება შვილების გამოუსწორებელი შეცდომები, მათი სულის გამრუდება, მერე რომ უკვირთ.

... იმაზე დიდი კურიოზი რა უნდა იყოს, რაც თავს გადაგვხდა, როცა ქვეყანა აირია, არ იყო ფული, თანამშრომლებისთვის მიზერული ხელფასი მიგვეცა, დავიწყეთ ყველაფრის გაყიდვა, რაც გვებადა. სადაც მიმუშავია, სახელის მეტი არაფერი წამომიღია, ყველამ შეძლო პრივატიზაციით სიმდიდრის ხელში ჩაგდება, ჩვენ აგარაკიც კი არა გვაქვს, არც სურვილი იყო ამისა და არც საშუალება, ამიტომაც დიდხანს მიწევდა ერთ ადგილზე მუშაობა, ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსობისას უამრავი ჯილდო დავიმსახურე. კაცი სამი რამით ფასობს – პროფესიონალიზმით, პატრიოტიზმითა და პატიოსნებით, თუმცა დღეს პატიოსნებას არც ახსენებენ.

***– ქ-ნო მარგო, ამ წერილმა უნდა უპასუხოს რუბრიკას – ოჯახი. თქვენთვის, ქართველი ქალისათვის, როგორ აღიქმება მისი ტრადიციები, ავ-კარგი. საზოგადოების აზრია, რომ თქვენ ამ საპატიო მოვალეობას ღირსეულად გაართვით თავი, რამეთუ, თუ ქალი კარგია, ის ოჯახიც ვარგა, ეს ასეა?***



● მანანა



● მერაბი შვილებთან

– სრული ჭეშმარიტებაა, მისხალ სიყალბეს ამ სიტყვებში

ვერ ვხედავ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი: მეუღლე, შვილები მიწყობდნენ ხელს, რომ ოჯახი ჩვენი ნავსაყუდელი ყოფილიყო, თავდაუზოგავად ვშრომობდი, არაფერს ვთაკილობდი, მადლობა უფალს ყველაფრისათვის. მე და ბიძინამ ლამის ოთხმოც წელს მივაღწიეთ (სულაც არ ემჩნევათ), ყოველი დღე ღვთის ნაბოძებია, გვინდა, ოქროს ქორწილი აღვნიშნოთ.

***– ოჯახი სიყვარულით შექმენით?***

(ბატონი ბიძინა არ აცლის, უნდა სიზუსტით გაიხსენოს მათი სამაგალითო ურთიერთობის ყველაზე ბედნიერი მომენტი)

– ორივენი 28 წლისანი ვიყავით. ცხონებული დედაჩემი გადამეკიდა, ერთი კარგი გოგო უნდა გაგაცნოო, მშობლებთან და მეგობრებთან ერთად წავედი მარჯანიშვილის თეატრში, ალბათ ბედი იყო, არც გოგო მაკლდა და არც სხვა გასართობი რამ. ისე ძალიან მომეწონა კაფანდარა მარგო, რომ იმ დღიდან მისი ფოტო პიჯაკის გულის ჯიბიდან არ ამომიღია (მაწვდის ამ ფოტოს და მოკრძალებულად მეუბნება, იქნებ გამოგადგეთო).

***– კიდევ რას გაიხსენებდით შვილების ბავშვობიდან?***

– ერთხელ ბიძინამ სტუმრად მეგობრები მოიყვანა. ერთმა ასეთი რამ თქვა: გია თქვენი ოჯახის ტვინია, ზურიკო გული, მერაბი ჯიგარიო. არ შემცდარა. მერაბი თავისებური ბავშვი იყო, საშინელ ყინვაში სკოლიდან სიფრიფანა პერანგით გამოგვეცხადა ერთხელ, ვიღაცა წყლიან ორმოში ჩავარდნილი უნახავს, ქურთუკი გაუხდია და იმისთვის მიუცია. საახალწლოდ კამფეტები მოვიმარაგე, ერთი პარკი ბავშვებს დავუდე, მეორე კარადაში შევინახე. როცა სახლში დავბრუნდი ჩემი შენახული ქუჩაში გადაყრილი დამხვდა. არ ვიცი, ალბათ, შეურაცხყოფად მიიღო ჩემი საქციელი.

ყოველგვარი პროტექციის გარეშე მიიღეს სამსახურში, ენერგიული, მოუსვენარი ბუნების ადამიანია, უამრავი მეგობარი ჰყავს. მისი უფროსი ვაჟი ნიკა არქიტექტორია, მაგისტრატურაში დატოვეს, გმირთა მოედნის სატრანსპორტო სქემა შექმნა, კონკურსში გაიმარჯვა და გერმანიაში მიემგზავრება.

***– როგორი ურთიერთობა აქვთ ძმებს?***

– სამაგალითო, მისაბაძი. ერთხელ ოთხივენი ვსვამდით, თან ვსაუბრობდით. მაშინ ვთქვი, სანამ თქვენ ასე გიყვართ ერთმანეთი, ვიქნები არაჩვეულებრივად კარგად-მეთქი, ამაზე ერთ-ერთმა იხუმრა: მამა, რა ხარ ასეთი, უკვდავებას ნუ ითხოვ ჩვენგანო. ისე ჩუმად ეხმარებიან ერთმანეთს, ვერ გაიგებ. ჩემი ბედნიერებაა, რომ პატიოსნები, განათლებულები, სამშობლოს ერთგულები არიან.

***– ბატონო ბიძინა, ვიცი, თქვენ კიდევ გაკისრიათ სხვა საპასუხისმგებლო საქმეც***

– ილია II ლოცვა-კურთხევით შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია – სვეტიცხოვლის ტაძრის დაცვის ღონისძიებათა ხელშემწყობი დარბაზი. ჩემი შენიშვნები და მოსაზრებები შევთავაზე კათოლიკოს-პატრიარქს. მოიწონა და მოადგილედ ამირჩია. შემოწმდა შენობა, გადაწყდა შეკეთება, უფალი მის დანგრევას არ დაუშვებს. შემოვიკრიბეთ მშენებლები, კონსტრუქტორები, არქიტექტორები, ფულიანი ხალხი, ახლა რომ ბიზნესმენებს ეძახიან, დაგვიდგებიან მხარში და უფასოდ შეაკეთებენ.

***– ქ-ნო მარგო, მთელი ოჯახი, ჩვიდმეტივე რომელ დღეებში იკრიბებით ერთად?***

– ჩვენი თავშეყრის დღეებია ახალი წელი და ბიძინას დაბადების დღე. ჩემი შვილები, ბიძინა, რძლები (ელისოს კონსერვატორია აქვს დამთავრებული) ყველანი შესანიშნავად მღერიან. ეს ჰობი მურღულიძისგან მოგვდგამს, ამბობენ, რომ არცერთ საოჯახო ანსამბლს არ ჩამოუვარდებიან. ღმერთმა კიდევ ერთი დიდი ჯილდო გვარგუნა; შვილთაშვილი, გიას შვილიშვილი, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, რომელსაც ბიძინამ „დიდი ბაბუის საოცრება – პატარა აქტრისა მანანიკო შეარქვა.

**ნანული ბუკია**

# იჭვნეულობა გულისა



ეჭვი არის ერთი ტოტი ინდივიდუალური სიყვარულის ხეზე. ის დაიბადა ერთგულების ცნებასთან ერთად. არა მარტო ცოლ-ქმრული, საერთოდ, ნებისმიერი ურთიერთობა შეუძლებელია არსებობდეს რწმენის, ნდობისა და ზნეობრივი პრინციპების გარეშე. გვარი ვერ გადარჩება, ერიც კი ვერ გაუძლებს უცხოს შემოტევას, თუკი ერთგულებას საყრდენი გამოეცალა. ამ თვალთახედვით სიფრთხილისა და ეჭვის გრძნობაც ადამიანთა პირველივე ურთიერთობიდან იღებს სათავეს (მეტოქის გაჩენის შიშით ევაც კი ნეკნებს უთვლიდა ადამს). ეს გრძნობა არ იყო უცხო თვით „სიყვარულის შემოქმედისთვისაც" – „არ უნდა სცემდეთ თაყვანსა უცხო ღმერთს, ვინაიდან ეჭვიანია უფლის სახელი, ეჭვიანი ღმერთია იგი" („გამოსვლა"). გამოდის, რომ ეჭვი სიყვარულის თანამდევი ყოფილა. უფრო მეტიც, სიყვარულს არა ჰყავს ეჭვზე ახლობელი და, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მასზე დიდი მტერი. ერთნი მას სიყვარულის უბოროტეს აჩრდილადაც კი აღიქვამენ, თუმცა სიყვარული არ არის და არც შეიძლება იყოს ბოროტების წყარო. ადამიანურ მანკიერებაში მისი დადანაშაულება შეცდომა იქნებოდა. ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" გმირის – აბატი ფროლოს საზარელ დანაშაულს საფუძვლად უდევს მეტოქისადმი შური და არა ესმერალდასადმი უანგარო სიყვარული, რადგან ცოდვით დაცემული ადამიანის მანკიერებანი – ეგოიზმი, შური, ამპარტავნება, გულღრძოობა – სიყვარულის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას განსაზღვრავს ძირითადად. ეს მას ძალუძს ისე გააღვივოს და წარმართოს „თანმდევი ეჭვი", რომ სიყვარული სიძულვილს დაამსგავსოს. მურმანის „ნდომასაც" ისე მოერია შურისა და სიავის თესლი, რომ მტრობად გარდაქმნა. ძნელია იპოვო თუნდაც ერთი შეყვარებული, რომელსაც არ გამოუცდია „იჭვნეულობა გულისა", რადგან წარმოუდგენელია სიყვარული აუღელვებელი და არხეინი. „ეჭვიანობს, ესე იგი, უყვარს", – ამბობს ხალხი და ამდენად, ეჭვი გა-

რკვეულ დრომდე, სიამოვნებითაც კი აღიქმება პარტნიორის მიერ. უფრო მეტიც, ამგვარ უბოროტო ეჭვს მართლაც ძალუძს გააღვივოს, გააცოცხლოს სიყვარულის მინავლებული გრძნობა. ამიტომ, ზოგი ხელოვნურადაც კი იწვევს მას, მით უმეტეს, ქალები — ისინი მიდრეკილნი არიან თვითდამკვიდრების მიზნით ზედმეტადაც იკეკლუცონ.

ფსიქოლოგთა აზრით, — „სრულად მოვსპოთ ეჭვი — ნიშნავს მოვსპოთ სიყვარული და დავიყვანოთ ის უბრალო სქესობრივ ლტოლვამდე". ასე რომ, გაუფრთხილდე სიყვარულის მონაპოვარს და არ დაანებო სხვას (თუნდაც გულგრილობას) ჩვეულებრივი, თითქმის აუცილებელი ადამიანური „ავადმყოფობა" ყოფილა მის მიმართ გარშემომყოფთა დამოკიდებულება უარეს შემთხვევაში საქილიკო-ირონიულია და არამც და არამც სერიოზულ-ტრაგიკული, რადგან მასში მონაწილე ადამიანთა უანგარო სიყვარულის (რომლის არსი ნდობაა) წყალობით, ეჭვს იმთავითვე ამოცლილი აქვს ის შხამიანი ნესტარი, რომელიც მას იმ დამანგრეველ გრძნობად აქცევს, რომელთანაც დასაბამიდან დაკავშირებულია „სიყვარულის კორიდის" ტრაგიკომედიები (ტანჯვა, შურისძიება, დუელი, მკვლელობა, თვითმკვლელობა და ა.შ.).

მართლაც და, ყველაფერი ის, რაც ეჭვთან არის დაკავშირებული, რაოდენ მარტივი ასახსნელი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს ღალატი და ადამიანის ქვეცნობიერი შიშიც და „დემონური მიდრეკილებაც" ამ მანკისადმი.

თვით ცოლ-ქმრული ღალატიც რთული და მრავალმხრივი ფენომენია. იურისტებისათვის ის სარწმუნო მიზეზია განქორწინების საქმეში, მკვლელობაც კი ამ ნიადაგზე შემარბილებელ ფაქტორად აღიქმება. რელიგია მასში „ცოდვის ქმნას" ხედავს, ლიტერატურა და ხელოვნება — „საინტერესო სიუჟეტს", მედიცინა — მიზეზს ფსიქოლოგიური დაავადებისათვის, ყოფითი მორალი კი — ოჯახის დამანგრეველ ფაქტორს.

ამბობენ, ქორწინება ეჭვიანობის ხარისხს ზრდისო. ყოფითი პირობები მართლაც პროვოცირებენ ღალატს, მით უმეტეს მაშინ, როცა ფიზიოლოგიური მოტივაცია სჭარბობს ზნეობრივს. ამიტომაც იყო, რომ ხალხური სიბრძნის თანახმად, ადამიანს თავის ტოლსა და ფარდზე უნდა ექორწინა. აქ მოცემულია არა კასტური შეზღუდულობა, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილება, რომლის თანახმად, უთანასწორო ქორწინება „წინასწარ დათესილ უბედურებად" მიიჩნეოდა.

როგორც წესი — კლასობრივი, რასობრივი, ასაკობრივი, გონებრივი თუ ქონებრივი უთანასწორობა ბადებს არასრულფასოვნების განცდას, ეს კი თავის მხრივ, ეჭვს და სწორედ ეს ეჭვი ხდებოდა ხოლმე ტრაგედიის მიზეზი. ჩვენ ყველამ დავიჯერეთ, რომ თეთრკანიანმა, არისტოკრატმა, მდიდარმა და ლამაზმა ქალმა „ჭირთა სიმრავლის გამო" შეიყვარა შავკანიანი, უაზნო მავრი, მაგრამ ოტელომ ეს ბოლომდე არ დაიჯერა და სწორედ ეს შეიქმნა ტრაგედიის მიზეზი. იაგოს მზაკვრობამ მხოლოდ გააღვივა ის, რაც უკვე არსებობდა მასში ქვეცნობიერად.

საერთოდ, ეჭვიანობა ყოველთვის როდია მგზნებარე სიყვარულის მაუწყებელი. მის სიმძაფრეს ადამიანის ხასიათი — ღირსება თუ მანკი უფრო განსაზღვრავს.

თუკი ადამიანში საკუთარი თავისადმი სიყვარული სჭარბობს მეუღლისადმი გრძნობას, მაშინ ამგვარი ეგოიზმით ნაკვები მესაკუთრული ინსტინქტი, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ადამიანსაც კი „ოჯახური მასშტაბის ნერონად" აქცევს.

როგორც წესი, „ეჭვის ტირანია" — ეს მტარვალთა და დესპოტთა მარადიული სენია, უბადრუკ ნარცისთა თანამგზავრია. ეს ავადმყოფური მდგომარეობაა ეგოისტისა, რომელსაც სიყვარული არ ძალუძს და, ამდენად, მისი „ტკბობის ობიექტი" სასურველი ნივთია მხოლოდ. თანაც, რაც უფრო მეტია ლტოლვა ამ „ნივთისადმი", მით უფრო დახვეწილია და ფართო ამ ადამიანის დესპოტური მოქმედების ამპლიტუდა.

ასევე, უნდობლობა და ეჭვი თანამგზავრია ცრუ და ორპირი ადამიანებისა, რომლებიც სხვის მოქმედებას საკუთარი არშინით ზომავენ — ვინც ადვილად ცრუობს, ის ხომ არც სხვას ენდობა.

ბევრისთვის კი პარტნიორის ღალატში დადანაშაულება საკუთარი უნიათობისა და გამოფიტულობის გამართლების გზაა. არასრულფასოვნების კომპლექსი ქმნის კონფლიქტის წინაპირობას — „მე იმდენად ცუდი ვარ, რომ არ შეიძლება მან მიერთგულოს". ამგვარი ადამიანები, როგორც წესი, უბედურნი არიან, თანაც ორმაგად უბედურნი, რადგან ერთდროულად მტანჯველებიც არიან და ტანჯულებიც. ეჭვიანი ადამიანი ხომ ტირანიცაა და მონაც ერთდროულად. ეჭვით შეპყრობილის ძრწოლვით აღსავსე ცნობისმოყვარეობა ყოველწამიერად აღნუსხავს მეუღლის ყველა წვრილმანს, რაც დროთა განმავლობაში „ეჭვიანთა ბოდვაში" გადადის და მათი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა თვით ეშმაკსაც არ ძალუძს. თანაც ეჭვიანთა ტანჯვა უმწარესია სხვა ადამიანურ ტანჯვათა შორის, რადგან მას თანამგრძნობელი, ჭირის გამზიარებელი არ ჰყავს. ამიტომაც უთქვამს ხალხს: „ეჭვი უფრო ადრე უნდა ჩააქრო, ვიდრე სახლში გაჩენილი ხანძარიო".

ეჭვის ჩაქრობის მრავალი მეთოდი არსებობს: უპირველეს ყოვლისა რწმენა იმისა, რომ ეჭვით მოვა დასასრული სიყვარულისა. ის, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა.

როცა გონი დომინირებს, როცა ადამიანს ძალუძს გააანალიზოს და გაერკვეს სიტუაციაში, ის იპოვის სულიერი აფორიაქების წყაროს და გაიმარჯვებს კიდეც. ასევე პარტნიორმაც უნდა შეუწყოს ხელი — გამოიჩინოს მეტი მოთმინება, გამოამჟღავნოს მეტი სითბო, დაუმტკიცოს, რომ მას არავითარი საფუძველი არა აქვს ეჭვისათვის და რომ ის იყო და დარჩება მისთვის ერთადერთ და შეუცვლელ მეგობრად.

მართალია, ეჭვის ჩაქრობა სულაც არ უნდა გულისხმობდეს „ეჭვის ნერგის ამოკვეთას", თორემ იმგვარი, სექსუალურად პოლიგამიური ოჯახებიც არსებობენ, როცა სამნი-ოთხნი და მეტნიც კომფორტულად გრძნობენ თავს ერთი საბნის ქვეშ.

საბედნიეროდ, კაცობრიობის ისტორია მდიდარია ამგვარ ექსპერიმენტატორთა არა მარტო ანტიბუნებრივი ქმედებებით, არამედ მათი გვარიანი მონანიებითაც.

ღვთის ნებით, ცოლ-ქმრულ სიყვარულსა და ოჯახურ სიწმინდეს უწმინდურებად გარდაქმნა არ უწერია.

„ღვთის ხატად" გაჩენილი კი იმიტომ იწოდება ადამიანად, რომ უყვარდეს ადამიანურად, ღალატის შემთხვევაში იტანჯოს ადამიანურად. მოღალატეს კი უფალი განიკითხავს, რადგან „მისი არს შურისგება და მან მიაგოს".

**მანანა კეიდია**

**გენეტიკოსი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა ფერიას დიდი პოდიუმი უხმობს

ეს მშვენიერი გოგონა, ქართული ცისა და ზღვის სილურჯე რომ უდგას თვალებში, ბავშვთა სილამაზის კონკურსის „საქართველოს ფერია — 2002"-ის გამარჯვებული და გრან-პრის მფლობელი, 12 წლის მეგი შონია გახლავთ.

მეგი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მეშვიდე კლასში სწავლობს, ფლობს ფრანგულ და რუსულ ენებს, რა თქმა უნდა, ცეკვავს, მღერის, უკრავს ფორტეპიანოზე, მშვენივრად ხატავს, აქვს იმიტაციისა და მიბაძვის ნიჭიც. პირველად სილამაზის კონკურსზე „საქართველოს ფერია-97" თავისი პედაგოგების რეკომენდაციით მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი გოგონა ბარე ბევრს სჯობდა, მავანთა არაობიექტურობის გამო ტიტულის გარეშე დარჩა, მაგრამ ჟიურის წევრების, ჩვენი მშვენიერი ქალბატონების ლია ელიავასა და ლეილა აბაშიძის ჩარევით, რომლებმაც ვერ აიტანეს უსამართლობა, სპეციალურად მეგისთვის დაწესდა პრიზი „მის კინოშანსი", რომელიც თავად მსახიობებმა გადასცეს გოგონას.

2000 წელს, „მეტეხი-პალასში" გამართულ სილამაზის კონკურსზე „საქართველოს ფერია-2000" მეგიმ კვლავ გამოიჩინა თავი და, თუმცა აქაც შეუქმნეს გარკვეული ბარიერი, „ყველაზე სცენიურის" ტიტულის მფლობელი გახდა.

ჰოროსკოპის მიხედვით სასწორი გახლავთ, რაც განაპირობებს კიდეც მის მიდრეკილებას რომანტიკული გარემოსა და ყოველივე მშვენიერისადმი. ძალიან გულკეთილი, მშვიდობისმოყვარე და ზოგჯერ იმდენად დამთმობი ბავშვია, რომ უფროსებს, დღევანდელი აქტიური მოზარდების ფონზე, აფიქრებთ კიდეც მისი „სისაწყლე". როგორც ყველა პატარას, მასაც ძალიან უყვარს ამხანაგებში თამაში (ჩემი უახლოესი მეგობარი, კახი კავსაძის შვილიშვილი ირინა ახლა ამერიკაშია და ძალიან მენატრებაო, — მითხრა მეგიმ), ცოტა ჭორაობა, ეზოში ბადმინტონითა და ბურთით ერთობა, თუმცა „ჩატანილი სათამაშოები უკან არასოდეს ამოაქვს, სხვებს ჩუქნის" — „წუხს" მეგის მშვენიერი ბებო, ქ-ნი დოდო ნაჭყებია.

თავადაც ბალეტის ნორჩ მოცეკვავეს ბალერინებს შორის ყველაზე მეტად მაკა მახარაძე და ნინო ანანიაშვილი მოსწონს, თუმცა ნინოსადმი ცოტა თავისებური დამოკიდებულებაც აქვს. „ერთხელ ვნახე სცენაზე და ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს არ უნდოდა ფუეტეს გაკეთება, რაღაც იძულებით ცეკვავდა", — „საქმის დიდი ცოდნით" ამბობს გოგონა.

მსახიობებიდან ნინელი ჭანკვეტაძე და კახი კავსაძე უყვარს, რომელთანაც მეზობლობა აკავშირებს. „ძალიან კარგი და კეთილი კაცია ირინას ბაბუა



ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ბებო და ხაჭაპური მიყვარს

კახი, მაგრამ ზოგჯერ, როცა ვცელქობთ ხოლმე, გაბრაზებაც ეხერხება", — ეცინება მეგის.

გოგონა მსახიობობასა და პროფესიონალ მოდელობაზე ოცნებობს, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პლასტიკას, მანერებსა და თეატრალურ ჟესტიკულაციას, რომელთა დახვეწაშიც სამოდელო სააგენტო „T Studio" უწევს დახმარებას.

მის ჩაცმულობაზე დედა ზრუნავს, სასწავლებელში ბაბუას დაჰყავს, „იმიჯმეიკერობას" ბებია უწევს, „მკაცრი თვალყურისდევნება" კი მასზე უფროს, 16 წლის ძმას აქვს დაკისრებული.

„ყველაზე მეტად ამ ქვეყნად ბებო და ხაჭაპური მიყვარს, მაგრამ ბებო ჭამას მიშლის, გასუქდებიო", — გამენდო გოგონა, რომელსაც ჯერ ვერ გაუცნობიერებია, სილამაზე დიდ მსხვერპლს რომ მოითხოვს.

ზემოთ ზღვა ვახსენეთ... მეგი წარმოშობით სოხუმელი გახლავთ. იქ აიდგა ფეხი, მაგრამ ოჯახთან ერთად ისე დატოვა ეს ღვთივკურთხეული ქალაქი, რომ იქაური სილამაზის აღქმაც ვერ მოასწრო. ერთი ავბედითი კვალი მაინც შემორჩა მის მეხსიერებას — როგორც კი სროლის ხმას გაიგონებს, მისდაუნებურად მაშინვე სიცხე უწევს და ავად ხდება.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ერთადერთი უსიამოვნო მოგონება იქნება მეგის ცხოვრებაში, რომელიც ფართოდ გახელილი ზღვისფერი თვალებით შესცქერის სამყაროს და სრული უფლება აქვს, მისი წილი ბედნიერებიდან ყველაფერი უკლებლივ მიიღოს.

ღვთისგან დალოცვილ, ბედნიერ გზაზე გევლოს, ჩემო მეგი!

მანანა იმერლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მხატვრობაში მუსიკიდან მოვიდნენ



● მზექალა ბერძენიშვილი და ადა კაბანოვა

ხელხვავიანი გამოდგა წლევანდელი წელი დედა-შვილ იზა ნადირაძისა და მზექალა ბერძენიშვილისათვის. ადრე მათი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობოდა თბილისში და მაღალ შეფასებას იმსახურებდა. მართალია დედა ადრე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მაგრამ ახლა ისინი ერთად მოდიან და მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იპყრობენ თავიანთი განსაკუთრებული ხელოვნებით, რომელსაც გაეცნენ გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში, მოსკოვში.

რუსეთთან და ესპანეთთან შემოქმედებით ურთიერთობას ჯერ კიდევ 1985 წელს ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ წლევანდელმა აღიარებამ მოსკოვის საზოგადოების მხრიდან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

2002 წლის იანვარში, ნ. რერიხის მუზეუმის დირექტორმა ლუდმილა შაპოშნიკოვამ დედა-შვილს ყოველგვარი ხარჯები აუნაზღაურა და საგამოფენო დარბაზი დაუთმო. გამოფენის გახსნისას ქალბატონი ლუდმილა სიტყვით გამოვიდა და მაღალი შეფასება მისცა ქართველ მხატვართა შემოქმედებას: „ადამიანის სულმა ნახა თავისი განსახიერება გარკვეულ სახეებში, გარკვეულ ფერში, გარკვეულ მუსიკაში, ჟღერადობაში. ეს მუსიკალობა სურათებისა გამოარჩევს ამ გამოფენას სხვებისაგან. მზექალა მუსიკოსია და ძალიან კარგი მხატვარი...

საინტერესოა 9 აპრილისადმი მიძღვნილი სერია. ამ ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეძრა. ამ ნახატებში ვერ ნახავთ ჯარისკაცების გამხეცებულ სახეებს, მაგრამ იგრძნობთ წყვდიადს, უკუნეთს, ძრწოლას. აქამდე ასე არავის გაუკეთებია, როგორც ეს გააკეთა იზა ნადირაძემ. დიდი მადლობა ქალბატონებს იზას და მზექალას".

მუსიკისა და ფერის სინთეზის სპეციალისტი, ოპტიკის თეატრის დირექტორი, რუსეთის ფედერაციის აკადემიკოსი სერგეი ზორინი ასე გამოთქვამდა თავის აღფრთოვანებას:

„მუსიკისა და შუქის სინთეზის პრობლემებზე შესანიშნავი ნამუშევრები წარმოადგინა მზექალამ და ახლა დიდად მოხარული ვარ, რომ ნ. რერიხის მუზეუმში ამ ნამუშევრებს უფრო დიდი მოცულობით ვხედავ (ადრე ისინი ყაზანში ვიხილე). ეს ძალიან თვითმყოფადი ხელოვნებაა. მხატვრების შემოქმედება განმსჭვალულია მუსიკალური ფლუიდებით. მუსიკალური ფლუიდი ძალზე საინტერესო და კოლორიტულია, ნახატი უმეტესად მუსიკალური კანონებითაა აგებული. ზოგიერთი პირდაპირ ეძღვნება და ასახავს მუსიკას – შუმანს, სკრიაბინს, ძალზე საინტერესო ციკლია „სიყვარული" ანუ „ცხენები", რომლებიც ეხუტებიან ერთმანეთს. საოცარია მათი გრძნობა და ეს გრძნობა გარს ეხვევა მთელ სამყაროს, ყოველგვარ ცოცხალს."

ნ. და ს. რერიხების საკონცერტო დარბაზში, რომელშიც გამოფენილია რერიხების შესანიშნავი ქმნილებანი, მზექალა ბერძენიშვილმა დაუკრა სკრიაბინის N4 სონატა, შუმანის ვენის კარნავალი, რახმანინოვის ეტიუდი, სკრიაბინის ორი პრელუდია, ვ. ჯულუხიძის ხორუმი.

ასეთივე წარმატებით შემოიარეს ქალბატონებმა ესპანეთის ქალაქები. პირველი გამოფენა ბასკეთში, ქალაქ ბილბაოში მოეწყო. 4 თვის მანძილზე დედა-შვილის მხატვრული ტილოები სხვადასხვა დარბაზებში გამოიფინა. შემდეგ კი ამ ნახატებმა მადრიდში გადაინაცვლა, რასაც მოჰყვა დამთვალიერებელთა მაღალი შეფასება, გამოიცა ნამუშევრების ფერადი კატალოგი, კვლავ გაიმართა მზექალა ბერძენიშვილის საშემსრულებლო კონცერტი.

მაგრამ ქალბატონ იზას და ქალბატონ მზექალას მიაჩნიათ, რომ ყველაზე მთავარი მაინც მშობლიურ ქვეყანაში აღიარებაა. მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავს საქართველოს სახალხო მხატვრის ელგუჯა ამაშუკელის შეფასება: „მზექალა ბერძენიშვილი მოულოდნელი ტალანტია. მის შემოქმედებაში მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულებას წამყვანი ადგილი უკავია. ეს არის შესანიშნავი სამყარო მუსიკალური სახეების აღქმით წარმოსახული მხატვრობისა".

„იზა ნადირაძის გამოფენიდან ვიგრძენი, რომ ფერწერა მუსიკალური ხედვაა. სიამოვნებით ვუსმენ მის შემოქმედებას". ელგუჯა ამაშუკელი.

... საკავშირო გამოფენა-ფესტივალზე – „დრო, სივრცე და ხელოვნება" მზექალა ბერძენიძილის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცეს აკადემიკოსებმა – კაგანმა, ზორინმა, ლაზარევმა. მზექალა ფესტივალის ლაურეატი გახდა.

„მე დიდი ხანია ვიცნობ ამ ოჯახს, – წერს რუსეთის ფედერაციის აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი. – როდესაც დედა-შვილის ნამუშევრები ვნახე, აღვფრთოვანდი. ეს არის სინთეზი მუსიკისა და ფერისა, გრძნობისა და არსისა, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი იმ ფილოსოფიისა, რომელიც მათში ცოცხლობს. აი, საოცრება ზოგიერთი ნახულისა. „ქაშუეთის ჯვარი 9 აპრილის ღამის 4 საათზე". შეგძრავთ ჯვარი, რომელიც ტირის. სულისშემძვრელი ნახატია „ხმა უფსკრულიდან", თითქოს უფსკრულსაც აქვს სული"...

...მხატვრობის გარდა ქალბატონები იზა და მზექალა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან. აქვთ თავიანთი მეთოდი – „ფერი სოლფეჯიოში", რომელსაც საოცარი შედეგი ახლავს. ბავშვები ხატავენ ბგერებს და თვითონ აღმოაჩენენ ფერებს, ხდება საოცრება – ისინი მუსიკალურ ანბანს თავისუფლად სწავლობენ. ქალბატონი იზა და ქალბატონი მზექალა ხომ მხატვრობაში სწორედ მუსიკიდან მოვიდნენ. ვინ იცის, იქნებ მათი მოსწავლეებიც მხატვრებად მოგვევლინონ.

ლია კაკაბაძე

**მასალის ფოტოები იხ. გარეკანის IV გვერდზე**

ბესიკ კეკელიძე



მხატვარი ცინარა ტერელაძე

— ყურშა, შენ რა ჩემსავით მოწყენილი ხარ, ყველამ მიგვატოვა, დაგვივიწყეს, — ანეტამ ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა, რომელიც კუდს აქიცინებდა და პატრონს ერთგული მზერით შეცქეროდა. ქალმა პური დაუყარა, ხელი ისევ გადაუსვა და ქათმებს მიუბრუნდა, — მოდი, ჩემო ჭრელო და მოუსვენარო მამალო, შენი სამი ქალი მოიყვანე, დააპურე, — წინსაფრის ჯიბიდან მუჭით სიმინდის მარცვლები ამოიღო და მიუყარა. მოხუცს ქათმების კუტ-კუტი მადლობასავით შემოესმა, გაიღიმა და მძიმე ნაბიჯით ალაყაფის კარისკენ გააბიჯა. ეზოდან გავიდა, ხის ძელსკამზე ჩამოჯდა და კაკალს მიეყრდნო. თავშალი მოიხსნა, თმა გაისწორა, კეფაზე შეიგროვა, სამაგრებით გაიჩერა და თავშალი ისევ გაიკეთა. ლარივით სწორ გზას მიაჩერდა. ცუდი მხედველობის მიუხედავად, შორეულ წერტილს გულდასმით თვალი გაუსწორა. უნდოდა, რომ მანქანა გამოჩენილიყო და შიგნით თავისიანები ეხილა. კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა. შემდეგ სიმწიფისგან გადაწითლებულ ბალს ახედა, — ბებო გენაცვალოთ, ჩვენი ბალი არ მოგენატრათ? ხეს შეალპება და ჩამოიყრება, აფსუსია მაგისი გაფუჭება, — სინანულით ჩაილაპარაკა და ღობის გასწვრივ სხვადასხვა ფერის ვარდთა ალლუმს თვალი მიაპყრო, — რა ლამაზები ხართ, ყვავილთა დედოფლებს ტყუილად არ გიწოდებთ.

ძრავის ხმა შემოესმა, დაიძაბა, მთელი ყურადღება გზისკენ მიმართა. მოხრეშილ შარაზე მანქანამ გვერდით ჩაუარა და კვალად აბუქებული მტვრის გროვა დაუტოვა. თითქოს დიდი ტვირთი მოეხსნას, ქალმა ისე ამოიოხრა და მოეშვა, — შავი დედალი დამიკრუ-

ხდა. რა ვქნა, დავსვა კვერცხებზე? ბავშვები თუ არ ჩამოვლენ, ამდენი ქათამი რაში მჭირდება, ან რა უნდა ვაჭამო? — ხეივანს ახედა, — ვაზი ყვავილობას რჩება და ამ უბედურს გასხვლა უნდა, ცოდოა, კარგად ასხია.

მანქანის ხმა ისევ გაიგონა. გზას მიაჩერდა, მოლოდინისგან გული უფრიალებდა, მაგრამ ამაოდ, მანქანამ ჩაიჩიხინა და მტვრის ბული დააყენა.

მოხუცი წამოდგა, ეზოში შევიდა. თითოეულ ვაზის ძირთან მივიდა და რასაც შეწვდა, ყლორტები მოაგლიჯა, — ცოტათი შეგეშველებით, ძალა მტევნებს სჭირდება. ისე, რა ჯიშიანი და ტკბილი მარცვალი იცი, — ვაზის ხაოიან ღეროს ხელი გადაუსვა. ვარდის ბუჩქებს მიუახლოვდა, ყოველი ფერის გაშლილი კოკორი დაყნოსა, — აუჰ, რა არომატული სუნი გაქვთ, — კმაყოფილმა თავი გააქნია.

ძრავის გრუხუნი გაისმა. ანეტამ ვარდებს თავი ანება და გარეთ გავიდა. მანქანას თვალი გააყოლა, — უკვე მოსაღამოვდა, დღესაც არავინ ჩამომაკითხავს, — ჩაილაპარაკა, ეზოში შებრუნდა და ალაყაფის კარი ჩაკეტა.

საქათმეში შეიხედა, როცა დარწმუნდა, რომ ოთხივენი ქანდასაზე ისხდნენ, კარი მიუხურა და ძაღლის ასაშვებად გაეშურა, — ყურშა, ეზოს მიმიხედე, — საყელური შეუხსნა და მაკრატლის ასაღებად სახლში შევიდა, — უი, დენი მოსულა, — გახარებულმა წამოიძახა, ლურსმანზე ჩამოკიდებული მაკრატელი აიღო და ვარდებთან ჩავიდა. დიდი თაიგული დაკრიფა და ნაჩქარევად ბინაში დაბრუნდა. ვაზა წყლით გაავსო, ყვავილები ჩააწყო, მაგიდაზე დაიდგა, ტელევიზორი ჩართო და მიუჯდა, — ჩემი შვილები და შვილიშვილები სახელოვანი ხალხია, იქნებ აქ მაინც რამე თქვან, გავიგო როგორ არიან, — გამოსახულებას ბუნდოვნად აღიქვამდა, სამაგიეროდ თითოეულ სიტყვას ყურადღებით ისმენდა, — არაფერს ამბობენ, — ორსაათიანი ჯდომის შემდეგ ნაღვლიანად წარმოთქვა, ტელევიზორი გამორთო და მეორე ოთახიდან ფოტოალბომი გამოიტანა.

მაგიდასთან ვარდების მოპირდაპირედ მოკალათდა და გადაშალა, — ეჰ, ალექსი, — სათვალე გაიკეთა და მეუღლის ფოტო მონახა, — კაცი როცა მოკვდება, ცოლი თან უნდა წაიყვანოს, — სურათს ხელი გადაუსვა, აკოცა და ვარდებით სავსე ვაზას მიადგა, — გახსოვს, რა სიყვარული გვქონდა? — ცრემლი ჩამოუგორდა, — ურთმანეთოდ ერთი დღეც ვერ ვძლებდით. ახლა კი, რას აკეთებ, როგორ ხარ? ძალიან მომენატრე, შენთან მინდა, ქალმა წინსაფრის ბოლოთი სველი ღაწვები გაიმშრალა.

— ჩემო სალომე, ანგელოზივით ლამაზი იყავი, დედა გენაცვალოს, — ქალიშვილის სურათს მიეფერა, — ვიცი, რომ ახლაც ლამაზი ხარ, მაგრამ რატომ დამივიწყე? მე ასეთი არ გამიზრდიხარ, — ალექსის ფოტოს მარცხნივ ვაზას მიაბჯინა.

— მუხრან, რა ვაჟკაცი გაგზარდე, სოფელში შენი მომრევი ბიჭი არ დაიარებოდა, როგორი მუყაითი, მშრომელი იყავი, ამდენს ამიტომაც მაიღწიე, დედა გენაცვალოს, — ვაჟის ფოტოს აკოცა, ხელი რამდენჯერმე გადაუსვა და მამამისის ხელმარჯვნივ ვაზასთან მიდგა.

ოთხივე შვილიშვილის სურათი წინ დაილაგა. ცოტა ხანს ჩუმად, გაღიმებული სახით დაჰყურებდა, გონებაში მთელი მათი ბავშვობა ქარავანივით ჩაატარ-ჩამოატარა, — ბებო შემოგევლოთ, როგორ მომენატრეთ, — ცრემლი მოაწვა, თვალები მოუწყლიანდა, — ჩამოდით, ბალით მაინც ჩაიტკბარუნეთ პირი, თორემ გაოხრდა, ალუჩასაც იგივე დაემართება, — უფროსი შვილიშვილის სურათი აიღო, მონატრებად ქცეულ გიორგის სიყვარულით დააცქერდა, — შენ, ჩემო სიყრმის შვილიშვილო, გახსოვს, ზღაპრებს რომ გიყვებოდი, ტყეში დაგასეირნებდი, სულ ბებუკუნას მეძახდი და კუდში დამდევდი. გავიგე, დიდი ბიზნესმენი გამხდარხარ, ძალიან მიხარია. შენი ფაჩუჩები ახლაც საწოლთან მიკიდია, ხშირად ვეფერები და ვკოცნი, — ფოტო ვარდების ქვეშ სალომეს სურათთან დადო.

— ლელუკუნა, გავიგე დედა გამხდარხარ, შვილთაშვილი არ უნდა მანახო? ისე, თოჯინებით თამაში როგორ გიყვარდა, ერთად ვთამაშობდით ხოლმე. შენს დედოფალებს ახლაც თმებს ვვარცხნი, ისე ვესაუბრები, თითქოს შენ გელაპარაკებოდე, ჩემი ცუგრუმელა გოგო, — სურათი მუხრანის გვერდით მიდგა.

— რა ეშმაკის ფეხი იყავი? — ღიმილით მიმართა მესამე შვილიშვილს, — ყველაფერს თავდაყირა აყენებდი, არავის გვიჯერებდი. ვერცხლის წყალივით ერთ ადგილს ვერ ნახულობდი. ახლა კი, დისერტაციას იცავსო, ყოჩაღ, ჩემო განსწავლულო ბიჭო, — ფოტოს აკოცა და გიორგის სურათთან მოათავსა.

— ჩემი ნაბოლარა ოქრო, ბაბუის სეხნია, როგორი დამჯერი და ჭკვიანი ბავშვი იყავი. კარგია, რომ უნივერსიტეტს ამთავრებ, განათლებას რა ჯობია, — მოეფერა და ლელას სურათის გვერდით მოათავსა.

მოხუცმა იდაყვები მაგიდაზე ჩამოდო და ხელებში თავი ჩარგო. ვარდების სურნელი ღრმად ჩაისუნთქა და მათ ქვეშ დაწყობილ ფოტოებს სევდანარევი შეაცქერდა, — ყველანი ჩემიანები ხართ, მაგრამ რატომღაც მოგონებად მექეცით, ახლოს აღარ მეკარებით, — ტკივილით ჩაიჩურჩულა. წამოდგა, კარადასთან მივიდა, ჭაჭის ბოთლი გამოიღო, პატარა ჭიქაში ჩამოისხა და მაგიდასთან დაბრუნდა:

— ალექსი, შენი ხსოვნა იყოს, ბედნიერი ხარ — უფალთან იმყოფები, ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, თქვენ ყველას გაგიმარჯოთ, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის მადლი არ მოგკლებოდეთ, — არაყი გადახუხა, ჭიქა მაგიდაზე დადგა. სინათლე ჩააქრო, ტანსაცმელი გაიხადა, ღამის პერანგი გადაიცვა და საწოლში შეწვა, — იქნებ სიზმარში მაინც განახოთ, — ინატრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაგვიანებული ინტერვიუ...



● შალვა ჩაგუნავა

ბედმა ინება და თხუთმეტიოდე წლის წინათ ქართული კინოდოკუმენტალისტიკის ფუძემდებლის შალვა ჩაგუნავასა და ცნობილი ჟურნალისტის ეთერ ჯაფარიძის ოჯახის წევრი გავხდი. იშვიათად შევხვედრივარ ასეთ ჰარმონიულ წყვილს, ორი არაჩვეულებრივი, განათლებული, კრისტალურად სუფთა ადამიანი ერთმანეთს ავსებდა და კიდევ უფრო ამდიდრებდა.

– მთელი ჩემი სიცოცხლე კინემატოგრაფს შევალიე. პირადი ინტერესები არასოდეს წინ არ დამიყენებია. პროფესიის გამო ოჯახსაც გვიან მოვეკიდე. უკვე რამდენი წელია ეთერი ჩემთან ერთად იზიარებს ამ ცხოვრების სიტკბოს და სიმწარეს, – იგონებდა თავისი სიცოცხლის მიმწუხრს მხცოვანი რეჟისორი.

ცოტა უფრო მოგვიანებით კი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქ-ნი ეთერი თავის დღიურებში ჩაწერს:

– როგორ გვიყვარდა ერთად ყოფნა. აკი ერთად ვიყავით – ჭირშიც და ლხინშიც. საქმე ხომ მთლიანად ერთი გვქონდა. ჩვენი საუბრის თემა არასოდეს არ ყოფილა სულისშემხუთველი – ქონების შეძენით გამიზნული. და მაინც ყველაზე მდიდრები ვიყავით ჩვენი უმწიკვლო სახელით, რადგან ჩვენი ოჯახის ამოსავალი წერტილი მხოლოდ პატიოსანი შრომა იყო...

მათი მდიდარი არქივი, სიყვითლეშეპარული უნიკალური ფურცლები, სადაც ვინ მოთვლის რამდენი აღიარებული ადამიანის გვარს შეხვდებით, ქ-ნი ეთერის და ბ-ნი შალვას მიერ ღირსეულად განვლილ გზაზე მეტყველებს.

ათი წლის წინათ, როცა თბილისში ჯერ კიდევ ტრიალებდა ცეცხლის სუნი და აფხაზეთი სისხლისგან იცლებოდა, ბნელ, ცივ საღამოებს მათი ნათელი მოგონებები ათბობდა და ავსებდა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მოგონებები გარდასულ დღეებზე, ეს იყო მცდელობა, არ დაკარგულიყო იმედი და რწმენა მომავლისა.

თქვენამდე მინდა მოვიტანო ის მოგონებები, რომლებიც თავის დროზე ტელეგადაცემად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ერთ-ერთი არხის პასუხისმგებელი პირისაგან ცივი უარი მივიღე.

მახსოვს, როგორ მელოდებოდა ტელევიზიიდან დაბრუნებულს ბ-ნი შალვა და როგორ ჩაუქრა თვალებში მოციმციმე სხივი, როცა ჩემი შელამაზებული პასუხი გაიგო. თუმცა ყველანაირად შევეცადე მისთვის გული არ მეტკინა...

– ორასზე მეტი დოკუმენტური ფილმის და ხუთასამდე კინოჟურნალის და ალმანახის ავტორი ვარ, – წერდა თავის მოგონებებში, – ათეული წლების მანძილზე ვქმნიდი ქართულ დოკუმენტურ კინომატიანეს, მაგრამ მიღწეული არ მაკმაყოფილებს. არ შემიძლია ვიყო უმოქმედოდ, შემოქმედებითად მდუმარედ...

როცა ჭეშმარიტი კინემატოგრაფი მართლაც დადუმდა და კინოსტუდიის კარი ვინ იცის, რამდენი ხნით დაიკეტა, უმოქმედობით დაღლილი და გულნატკენი რეჟისორი იმქვეყნად გაემგზავრა.

ქალბატონი ეთერი, ამაყი და თავმოყვარე, საგულდაგულოდ მალავდა თვალებზე მომდგარ ცრემლებს. თავის დარდსა და საფიქრალს ისევ და ისევ ერთგულ თანამეცხედრეს უზიარებდა, როგორც ცოცხალს, ისე ესაუბრებოდა:

– მხოლოდ ერთი მიზანსწრაფვა გასულდგმულებდა, ჩემო შალვა. განუზომლად გიყვარდა კინოხელოვნება. შენი პროფესიით სუნთქავდი და გაუსაძლის ყოფაში სულიერი სწრაფვა გიმსუბუქებდა ყველა გასაჭირს. სასხვათაშორისოდ ერთი კადრიც არ შეგიქმნია. კინომატიანე იყო შენი განუსაზღვრელი სიმდიდრე, ბედნიერება და მიზანი... თავისუფალ დროს შენს არქივს ვუზივარ და გელაპარაკები. ნეტა გესმის ჩემი? ის მაიმედებს, რომ გიახლოვდები...

მართლაც, მალე შეუერთდა თავის მეუღლეს მარადისობაში. ქ-ნი ეთერის ბოლო სიტყვებიც ხომ მასთან შეხვედრის ნატვრა იყო:

– შალვასთან მინდა!

ალბათ სიმბოლური და გამართლებულია, რომ დაგვიანებული ინტერვიუ ცნობილ რეჟისორთან შალვა ჩაგუნავასთან ,,საქართველოს ქალში'' იბეჭდება, ჟურნალში, სადაც მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა ეთერ ჯაფარიძე.

... მარტვილის რაიონში, გორდის თემის მღვდლის თადეოზ ჩაგუნავას ოჯახში ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟი იზრდებოდა. თადეოზი უაღრესად განათლებული ადამიანი იყო. სოფელში სკოლა არ იყო და თუკი ვინმემ იცოდა წერა-კითხვა, სწორედ მისი დამსახურება იყო. საღამოობით კი შვილებს გვერდით მოისხამდა და წიგნებს უკითხავდა. უფრო ხშირად ,,ვეფხისტყაოსანს''. ამიტომ და-ძმებმა თითქმის ზეპირად იცოდნენ მთელი პოემა.

– მეტისმეტად მკაცრი იყო, პატარა დანაშაულსაც არ გვპატიობდა შვილებს, – იხსენებდა ბ-ნი შალვა, – ამიტომ სანამ რამეს გავაკეთებდით, პირველად იმაზე



ეთერ ჯაფარიძე და შალვა ჩაგუნავა



შალვა ჩაგუნავა ირაკლი ანდრონიკოვთან ერთად



შალვა და ირაკლი აბაშიძე ფილმ „შოთა რუსთაველზე" მუშაობის დროს

დავფიქრდებოდით, მამას გაუხარდებოდა თუ ეწყინებოდა. მისგან განსხვავებით, საოცრად ლმობიერი და მოსიყვარულე იყო დედა. იგი შესანიშნავად კერავდა და სოფლის გოგოებს ჭრა-კერვას ასწავლიდა...

რევოლუციის შემდეგ ეკლესია, სადაც თადეოზი წირვა-ლოცვებს აღავლენდა, ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი დაანგრიეს. მღვდელს კი შვილების მოკვლით დაემუქრნენ, ანაფორა ძალით გაახდევინეს და ადიგენში გადაასახლეს.

– ბიძამ თბილისში წამიყვანა, უნივერსიტეტში ჩავაბარე. სწავლის პარალელურად კინოსტუდიაში დავიწყე მუშაობა. ჩემი პირველი ნაბიჯები კინოში ორ დიდ რეჟისორთან – კოტე მარჯანიშვილთან და ალექსანდრე წუწუნავასთან არის დაკავშირებული, – განსაკუთრებული სითბოთი იხსენებდა ბატონი შალვა იმ წლებს, – მათთან მუშაობა ნამდვილი აკადემია იყო, თითოეულ მათ სიტყვას ღრმად ვიბეჭდავდი გონებაში. რეჟისორის ასისტენტად ვმუშაობდი მათ ფილმებზე: „გოგი რატიანი", „ქარიშხლით შობილნი", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ჯანყი გურიაში", „ორი მონადირე".

მაშინ კინემატოგრაფში მკაცრი კანონები იყო გამეფებული, რეჟისორი რომ განკარგულებას გასცემდა, პასუხი „არა" არ არსებობდა. ყველა თავის საქმეს აკეთებდა. კოტე მარჯანიშვილი განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა მუშაობის პროცესში. ერთხელ თეატრში განცხადება გააკვრევინა: „ხვალ თორმეტ საათზე შედგება პიესის წაკითხვა. დასწრება აუცილებელია".

ზუსტად თორმეტ საათზე კარის ჩაკეტვა ბრძანა და არავინ აღარ შეუშვა დარბაზში. მეორე დღეს კი ყველა დაგვიანებული სამსახურიდან გაათავისუფლა. მათ შორის ცნობილი მსახიობებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც მთავრობაში იჩივლეს. თუ მათ დააბრუნებთ, მაშინ მე დავტოვებ თეატრსო, – თქვა ბატონმა კოტემ და მისი ბრძანება ძალაში დატოვეს...

სიამოვნებით იხსენებდა ალექსანდრე წუწუნავასაც:

– წარმოსადეგი კაცი იყო. ყოველდღე ორ საათზე სახკინმრეწვის ეზოში ეტლით შემოვიდოდა. სამონტაჟო ოთახში ჩაიკეტებოდა და გვიან ღამემდე მუშაობდა.

პრინციპული ადამიანი იყო, ფილმს თუ არ გრძნობდა, ხელს არ მოკიდებდა. ამის გამო რამდენჯერმე მთავრობის დავალებაზეც კი თქვა უარი...

გავიდა წლები და დიდი რეჟისორის ალექსანდრე წუწუნავას იუბილე სწორედ შალვა ჩაგუნავამ გადაიღო.

ქართული კინოსა და თეატრის კორიფეებთან მუშაობამ და ურთიერთობამ შალვა ჩაგუნავას მომავალი განსაზღვრა. 1928 წელს სწავლა ჯერ ლენინგრადის ხელოვნების ინსტიტუტში, 1930 წელს კი მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გააგრძელა. მის გვერდით ქართული კინოს მომავალი თვალსაჩინო წარმომადგენლები სწავლობდნენ: შალვა ხომერიკი, ნიკოლოზ პიპინაშვილი, კირა ანდრონიკაშვილი, შალვა მართაშვილი, კარლო გოგოძე.

– ჩვენი პედაგოგები იყვნენ კინოს ცოცხალი ლეგენდები: სერგო ამაღლობელი, სერგეი ეიზენშტეინი და ლევ კულეშოვი, – იხსენებდა ბატონი შალვა, – ეიზენშტეინი რეჟისურის კათედრას ხელმძღვანელობდა. ეს უდიდესი ტალანტისა და ენერგიის მქონე შემოქმედი ღრმად სწვდებოდა კინემატოგრაფიის უმცირეს ნიუანსსაც კი. არიან რეჟისორები, რომლებიც იღებენ კინოს, მე კი ვქმნი კინემატოგრაფსო, – უყვარდა თქმა. ხშირად გვიმეორებდა, რეჟისორი რომ გახდეს, ზოგისთვის ოთხი წელია საკმარისი, ზოგიერთს კი 120 წელიც არ ეყოფაო.

დისციპლინის მოყვარული სხვისგანაც წესრიგს მოითხოვდა. ფილმზე მუშაობისას შესვენებებს და პაუზებს ვერ იტანდა. ფილმი ერთი ამოსუნთქვით უნდა შეიქმნასო. როცა საქმე არ გექნებათ, მაშინაც არ უნდა დაკარგოთ დრო უქმად და თქვენს თავზე უნდა იმუშაოთო. ნიჭიერ სტუდენტს აფასებდა, მაგრამ უდისციპლინობის გამო ვინმეს თუ გარიცხავდა, მის ინსტიტუტში აღსადგენად არანაირი პროტექცია არ ჭრიდა.

ბატონი შალვა ხშირად იხსენებდა ლევ კულეშოვსაც, რომელიც მსახიობებთან მუშაობას ასწავლიდა.

– ერთხელ სტუდენტებმა ვთხოვეთ, გვინდა დავესწროთ სცენარზე მუშაობის პროცესსო. სასტიკი უარი გვტკიცა. როცა სცენარზე ვმუშაობ, გვერდით არაყი მიდგას და ვსვამო. თქვენ კი სასტიკად გიკრძალავთ დალევასო. მისი საყვარელი გამოთქმა იყო: დირექტორები მოდიან და მიდიან, ხელოვნება კი რჩება. თქვენ უნდა ამაღლდეთ ხელოვნების და არა დირექტორების დონეზეო.

ბატონი შალვა მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა ნაყოფიერ მუშაობას. ფეხით შემოიარა მთელი საქართველო. შთამომავლობას უნიკალური ქრონიკალური კადრები შემოუნახა. ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი ფირზე აღბეჭდა. შექმნა საქართველოს ღირსეულ შვილთა პორტრეტები. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე მოქმედ არმიაში გადამღებ ჯგუფებს ხელმძღვანელობდა. სწორედ ცეცხლის წვიმაში გადაღებული კადრებით შეიქმნა დოკუმენტური ფილმები: „ამიერკავკასიის ხალხთა ფიცი", „ფიცი სამშობლოს", „გენერალ ჩანჩიბაძის გვარდიელები", „ფაშისტ მხეცთა ნაკვალევზე", „ჩვენ ვიცავდით კავკასიას", „სტალინგრადის ეპოპეა", „არ დაიდარდო, დედაო". მოგვიანებით რეჟისორმა კარმენმა ცნობილ კინო-ეპოპეაში „დიდი სამამულო", შალვა ჩაგუნავას მიერ გადაღებული მრავალი კადრი გამოიყენა.

მისთვის ყველა ფილმი მნიშვნელოვანი იყო. კინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა





რუბრიკას უძღვება ჟურნალისტი თამარ ნინიძე, რომელიც ოჯახის დაგეგმვისა და ჯანმრთელი ბავშვის გაჩენის ხელშემწყობი გარემოებების შესახებ ესაუბრება „ჯანმრთელობის სახლის" ორსულთა სკოლის წამყვან ექიმს, ქ-ნ ლალი აბელი-შვილს:

– ტრადიციულად ჟურნალი „საქართველოს ქალი" აქტუალურ თემებს აშუქებს. ორსულობის შესახებ სტატიები პერიოდულად ადრეც იბეჭდებოდა, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და ვითარდება, რაც დროის ჭრილში ტრადიციული თემების ახლებურ გააზრებას მოითხოვს. დღეს სულ სხვა გარემოებები ახდენს ზეგავლენას ოჯახის დაგეგმვასა და ბავშვის გაჩენაზე. დღეს ქალი უფრო აქტიურია. იგი მუშაობს, სწავლობს და ხშირად ოჯახსაც არჩენს. ამ ვითარებაში ძალიან ძნელია უარი თქვა სამსახურზე (დეკრეტში გახვიდე, სახლში დაჯდე). მაგრამ ბავშვის გარეშე ოჯახი ხომ უსახურია! სწორედ ამ თემას ეძღვნება პირველი საუბარი ქ-ნ ლალი აბელიშვილთან.

# გვინდა თუ არა ბავშვი?!

ბედნიერია ოჯახი, რომელიც სიყვარულით შეიქმნა. ბედნიერია ქალი, ვისაც არა აქვს შვილოსნობის თვალსაზრისით არანაირი პრობლემა. მთელი სულით და გულით, მთელი აზრით და გონებით, სიყვარულით შექმნილი ოჯახის ბედნიერი გვირგვინი არის ბავშვი. ნამდვილად ბედნიერია ქალი, რომელსაც არ გამოუცდია რა არის უშვილობა. ხშირად ამას კი ვერ აცნობიერებს. დღევანდელ პირობებში სულ უფრო მწვავედ დგება უშვილობის პრობლემა, ასევე მწვა-

ჟურნალზე მუშაობდა თუ დოკუმენტურ ფილმზე, მთელ ენერგიას, ცოდნას, სულსა და გულს აქსოვდა შიგ.

1937 წელს სახკინმრეწვის დირექციამ შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი ფილმის გადაღება დაავალა.

ფილმ „შოთა რუსთაველის" გადასაღებად თითქმის მთელი საქართველო შემოიარა. ეცნობოდა რუსთაველის ეპოქის არქიტექტურულ ძეგლებს, ხვდებოდა ხალხურ მთქმელებსა და აშუღებს, ხშირად სტუმრობდა იაკობ ნიკოლაძისა და კოტე მერაბიშვილის სახელოსნოებს, სადაც დიდი შოთას სკულპტურული ბიუსტები იძერწებოდა.

ხმოვანი კინო ახალფეხადგმული იყო და სინქრონული გადაღებები მეტად რთული გახდა. მიუხედავად ამისა, რეჟისორმა შეუძლებელი შეძლო და უნიკალური დოკუმენტური ფილმი შექმნა.

ეს არის ხმოვანი ფილმი, რომელშიც თავმოყრილია ჩვენი სასიქადულო მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მთელი თანავარსკვლავედი: ივანე ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა რადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, იოსებ იმედაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და მრავალი სხვა.

ერთადერთი ფილმი დიდ ქართველ მწერალზე კონსტანტინე გამსახურდიაზე შალვა ჩაგუნავას ეკუთვნის.

– ჩვენს თანამედროვეებზე შექმნილი ნაწარმოებები მხოლოდ ფაქტების შიშველ რეგისტრაციას კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ უნდა გვხიბლავდეს ადამიანების სულიერი სილამაზით, ხასიათის სიმტკიცით, შემართებით.

ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა შემექმნა დოკუმენტური ფილმი დიდ კონსტანტინეზე. კინოკამერით ყოველთვის საგულდაგულოდ ვიღებდი, ვაგროვებდი მისი ცხოვრებისა და გამოსვლების ცალკეულ მომენტებს...

ფილმის შექმნასთან დაკავშირებით ბატონ კონსტანტინეს ბიჭვინთაში შევხვდი, კინემატოგრაფისტთა შემოქმედებით სახლში ვისვენებდი. 1972 წლის აგვისტო იდგა. ლიძავაში აგარაკზე ვესტუმრე. ბევრი ვისაუბრეთ. ვიგრძენი ესიამოვნა, ფილმის გადაღებას რომ ვაპირებდი და მითხრა, თბილისში, კოლხურ კოშში განვაგრძოთ საუბარიო.

1973 წლის იანვარში ბატონმა კონსტანტინემ გულთბილად მიმიღო, დამათვალიერებინა კოლხური კოშკი, რომლის ეზოშიც, ქათქათა თოვლზე ორი შვლის ნუკრი დახტოდა.

საუბრის შემდეგ ბატონმა კონსტანტინემ ფილმის გადაღების ნებართვა მომცა:

– ჩემი კოლხური კოშკის კარი მუდამ ღიაა თქვენთვისო.

და მეც შევუდექი მუშაობას. მწერალი დიდი ინტერესით ეკიდებოდა ყოველი ეპიზოდის გადაღებას. მესაუბრებოდა ტელეფონით, მოდიოდა კინოსტუდიაში, ყურადღებით ეცნობოდა გადაღებულ მასალას. მუშაობა დასრულდა. ბატონმა კონსტანტინემ ნახა ფილმი და გადამეხვია...

უამრავ წიგნს შორის, ბატონი შალვა მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ აგროვებდა, ბევრია ნაჩუქარიც – გამოჩენილ ადამიანთა წარწერებით დამშვენებული.

„ძვირფასო შალვა, ვაშა! ჩვენი „ლერმონტოვი საქართველოში" დამთავრდა. მიიწურა 1964 წელიც, როდესაც ჩვენ ერთად ვმოგზაურობდით, ვშრომობდით, განვიცდიდით, ვხარობდით. თქვენი ირაკლი ანდრონიკოვი!"

ფილმზე მუშაობას კი თავად რეჟისორი ასე იხსენებდა:

– დიდი სურვილი მქონდა ირაკლი ანდრონიკოვის სცენარით გადამეღო ფილმი ლერმონტოვზე. ვთხოვე კიდეც დაეწერა. ამავე დროს თავს უფლება მივეცი გაეზიარებინა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება.

მართლაც, მალე მივიღე სცენარი. გადასაღებ ობიექტზე ირაკლი ანდრონიკოვი ჩემთან ერთად დადიოდა. ეს მართლაც გამორჩეული დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში, იმდენად საინტერესო გამოჩენილ მთხრობელთან და სცენარისტთან მიხდებოდა მუშაობა...

ბატონი შალვა მთელი ცხოვრების მანძილზე ჩუმად აკეთებდა დიდ საქმეს და ჩუმადვე წავიდა ამ ქვეყნიდან. სახელს და პატივს არასოდეს ელტვოდა. პირიქით, სხვათა სახელებს და ღვაწლს უკვდავყოფდა.

მარინე ნაკაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედ დგება საკითხი – გავაჩინოთ შვილი თუ არა, ან რა დროს გავაჩინოთ – დავგეგმოთ, თუ როგორც ღმერთი მოგვცემს? არადა, სრულყოფილი ოჯახი მინიმუმ 3 წევრისგან მაინც ხომ უნდა შედგებოდეს?

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ოჯახის ორივე წევრმა ზუსტად იცოდეს, სურთ თუ არა შვილი, მზად არიან თუ არა მიიღონ ის, ჩამოაყალიბონ მისგან პიროვნება, შეუძლიათ თუ არა შეუქმნან საარსებო პირობები. აქ არ იგულისხმება მატერიალური მხარე, საუბარია სულიერ აღზრდაზე, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. მაშინ ბავშვის დაბადებას, მის გაზრდას და არსებობას ნამდვილად ეძლევა აზრი, დღევანდელი მედიცინა სწრაფი, გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ. ჩვენ ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ და ფეხი ავუწყოთ მას. ამიტომ რამდენიმე საჭირბოროტო საკითხზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

ორსულობა ქალისთვის ძალიან საპასუხისმგებლო მოვალეობაა, რადგან ჩასახვის მომენტიდან გაჩენამდე ის არამარტო თავისი მომავლის, არამედ ბავშვის მომავლის, მისი ხასიათის, მისი დაავადებების განმსაზღვრელიცაა. ორსულობის დაახლოებით მე-12 კვირას სრულდება ნაყოფის ორგანოთა სისტემების ჩამოყალიბება. ე.ი. იგი უკვე პატარა არსებაა, რომელსაც ჩვენდა გასაოცრად „ბევრი რამ ესმის".

აღმოჩენილია, რომ ბავშვს აქვს ე.წ. მატრიცები, რომლებზეც მისი ბუნება, ხასიათი იწერება და ყალიბდება. მე-12 კვირიდან დაწყებული მე-40 კვირის ჩათვლით (ვადამიტანილი ორსულობა) დედის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა – ის, თუ რა პირობებში ცხოვრობს, რას მიირთმევს, რომელ მუსიკას უსმენს, რა აცვია, რა სიტუაციასა და გარემოშია, ვისთან ურთიერთობს, სიმშვიდეა თუ არა ირგვლივ, უყვართ თუ არა იგი და ა.შ. – პირდაპირ ასახვას პოულობს ჩვენი პატარას ჩამოყალიბებაში. ყველაფერ ამას ის თითქოს ჩაიწერს I მატრიცაზე და ამ პირველ მატრიცას საოცრად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის განვითარებაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერასოდეს შევძლებთ იმ იდეალური პირობების შექმნას, რომელიც გვინდა, მაგრამ ის მაინც ხომ შეგვიძლია, მინიმალური კომფორტი შევუქმნათ ორსულ ქალს, მოვარიდოთ ყოველდღიურ მარტივ სტრესებს, უბრალოდ, ანგარიში გავუწიოთ მას.

ბავშვის მეორე მატრიცა ყალიბდება მაშინ, როდესაც დგება მშობიარობის წინა პერიოდი, ანუ იწყება საშვილოსნოს შეკუმშვები და ბავშვი რაღაც გაურკვეველი ტკივილის, საშვილოსნოს შეკუმშვების ზემოქმედების შედეგად ვარდება მისთვის უჩვეულო სიტუაციაში. მანამდე თუ ის თავისუფლად დაცურავდა სანაყოფე სითხეში, ამოძრავებდა ხელ-ფეხს და სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, ახლა უჩვეულო ზეწოლას განიცდის და შიშის გრძნობა იპყრობს. რა არის ეს? – ფიქრობს და გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევას ცდილობს. საშვილოსნოს შეკუმშვები და საშვილოსნოს ყელის გახსნა იწვევს მისი მდებარეობის ცვლილებებს და რაც უფრო სწრაფად მოახერხებს ორგანიზმი სამშობიარო გზებისკენ ბავშვის მიმართვას, მით უფრო მიზანსწრაფული და გონიერი იქნება ბავშვი. იგი ცდილობს მოძებნოს გამოსავალი. ამ მომენტში მასში II მატრიცა ყალიბდება. რაც უფრო სწრაფად მოახერხებს ნაყოფი სამშობიარო გზებისკენ გასვლას, მით უფრო ძლიერი იქნება ის ცხოვრებაში.

უშუალოდ სამშობიარო გზებში ნაყოფი შედარებით უფრო ცოტა ხანს იმყოფება. აქ ის ძლიერ ზემოქმედებას განიცდის და სწორედ სამშობიარო გზებში გასვლისას მას III – ბრძოლის მატრიცა უყალიბდება. რაც უფრო მოკლე ხანში შეძლებს ის დაბადებას, მით უფრო მტკიცე და მებრძოლი ხასიათი ექნება. IV – ეს არის თავისუფლების მატრიცა, რომელიც უშუალოდ დაბადების პროცესს ახლავს თან. როდესაც ბავშვს ეს ოთხივე მატრიცა აქვს, იგი შედარებით განსხვავებულია იმ ბავშვებისგან, ვისაც ყველა ეს მატრიცა არ გააჩნია. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ბავშვი საკეისრო კვეთით იბადება. საკეისრო კვეთის დროს ბავშვს მხოლოდ I მატრიცა რჩება და იგი ბევრად უფრო მოსიყვარულე და „არაამქვეყნიურია", ძნელად ახერხებს გარემო პირობებთან შეგუებას, ხასიათი შედარებით რბილი აქვს, ძალიან მეოცნებე და არაპრაქტიკულია.

ორსულობის მიმდინარეობის მიხედვით იმის თქმაც შეიძლება, რა დაავადებათა მიმართ იქნება ბავშვი მიდრეკილი ან ჯანმრთელობის რომელი რგოლი ექნება სუსტი.

ამგვარად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც ქალი ფეხმძიმობის 9 თვეს ატარებს. ყველაფერ ამას კი მჭიდრო კონტაქტი აქვს ბავშვთან. ამიტომაა, რომ მშვიდ და ბედნიერ ოჯახში უპრობლემოდ ჩნდება და იზრდება პატარა. როგორც დედიკო და მამიკო ზოგავდა და ეფერებოდა 9 თვის მანძილზე, ისევე დაზოგავს და მოეფერება შვილი მშობლებს მთელი მათი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაა მნიშვნელოვანი – სასურველი, დაგეგმილი ორსულობა, როცა ორივე მშობელს შვილის დაბადება ერთნაირად უხარია და სულერთია – გოგო იქნება თუ ბიჭი. არ დაგვავიწყდეს, რომ ბავშვი ისეთი სათუთი, ნატიფი არსებაა, რომ მშობლის ხმის ნებისმიერ ინტონაციას არჩევს – გიხარია შენ, მასაც უხარია, გწყინს? – მასაც სწყინს – ეს ძირითადად მამიკოს ეხება, თორემ, როცა ლაპარაკია დედიკოზე, მას ხმის ინტონაციაც არ სჭირდება, იმიტომ, რომ ის კარგად იცნობს დედიკოს გულისცემის რიტმს. როდესაც დედა მოსვენებულ მდგომარეობაშია, მისი გულისცემა ნაყოფს იავნანასავით ესმის. ეს შეიძლება შევადაროთ მუსიკას ნორმალურ ტემპში. თუ იგივე მუსიკას მოვუსმენთ სხვა ტემპში, მისი ფორმა და შინაარსი აბსოლუტურად შეიცვლება. ასეა ნაყოფიც. ის მცირედ ცვლილებასაც კი გაფაციცებით აღიქვამს და მასზე შესაბამისად რეაგირებს.

ამიტომ, როდესაც საქმე ორსულ ქალს ეხება, ვიფიქროთ მასზე, ნუ მივაყენებთ წყენას, ნუ ჩავაგდებთ სტრესში, თუნდაც ეს სასიამოვნო სტრესი იყოს. გავუწიოთ ანგარიში იმას, რომ იგი დაუცველი მცირე არსების მატარებელია, რომელმაც უნდა შეძლოს ამ ცხოვრების გატანა და მასთან გამკლავება.

როდესაც ოჯახი იქმნება, ჯერ კარგად გავაცნობიეროთ, გვინდა გვყავდეს შვილი თუ არა. და თუ გვინდა, შევუქმნათ მას ის მიკროგარემო, რომელიც სჭირდება ჯანსაღად ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.

ამ პრობლემების გარკვევის შემდეგ, კარგი იქნება ორსულთა სკოლის რჩევების გათვალისწინება, რომლებსაც ჩვენ შემოგთავაზებთ. ასევე კარგი იქნება ნებისმიერმა ქალმა გაიაროს ფსიქო-სომატური მომზადება, რომ მისთვის გაურკვეველ ნებისმიერ კითხვას გაეცეს პასუხი.

ფსიქო-სომატური მომზადება ორსულის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებას გულისხმობს.

ფიზიკური მომზადება ნიშნავს ვარჯიშის სხვადასხვა სახეობების გამოყენებას უშუალოდ იმ კუნთებისათვის, რომლებიც მშობიარობაში მონაწილეობს. ასევე, მნიშვნელოვანია მშობიარობისას დიაფრაგმისა და სუნთქვითი ვარჯიშების როლი. სწორი სუნთქვისა და სწორი ჭინთვების ურთიერთშეთანხმებას ჯერ ერთი, ტკივილდამაყუჩებელი ეფექტი აქვს და მეორეც, გამორიცხავს მშობიარობის გართულებას. გარდა ამისა, გაცილებით მცირდება სამშობიარო ტრავმების რიცხვი და ბავშვი ბევრად ჯანმრთელი იბადება.

ფსიქოლოგიური მომზადება მშობიარობისა და ორსულობის შიშების მოხსნას, ნებისმიერი შესაძლო ვარიანტისათვის ქალის მზადყოფნას გულისხმობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფო მგელაძე თბილისის მე-14 სკოლის მეცხრეკლასელია. უყვარს ქართული მწერლობა, ზეპირად იცის ქართული პოეზიის მარგალიტები, აქვს მოვლენების თავისებური ხედვა და მათი გადმოცემის საკუთარი უნარი. ასე რომ, ეწერება და წერს ლექსებს, მინიატურებს, ჩანახატებს, რაც მისი ასაკისათვის ანგარიშგასაწევია. თავიდან ერიდებოდა, წერდა მხოლოდ თავისთვის, ახლა კი გაბედა სამზეოზე გამოტანა. ჩვენაც ჭაშნიკი გავუსინჯეთ მის შემოქმედებას, შეფასება კი მკითხველებისთვის მიგვინდვია, მხოლოდ ერთი პირობით – ნუ ვიქნებით ზედმეტად მკაცრები.

### რას მისტიროდი?

ეს შენ იდექი წვიმიან ღამით  
აცრემლებული, თეთრი ვარდებით,  
არ ვიცი, ვისთვის, რისთვის, სტიროდი,  
ფიქრებს რად სცრიდა ძველი თბილისი.  
იქნებ დაკარგულ დროს მისტიროდი,  
იქნებ გახრჩობდა მწარე ფიქრები,  
იქნებ ეს ღამე შენ ვერ გამჩნევდა,  
და ცრემლიანი იდგა თბილისიც.  
ზაფხული იყო, კრიალა ზეცა  
გაფენდა ფიქრებს თოვლიანს მაშინ,  
ეს შენ იდექი, თეთრი ვარდებით,  
რას მისტიროდი წვიმიან ღამით?

### მოგონებებად დარჩა წარსული

ჩუმად! ვინ კვნესის,  
ეს ვინ ფიქრობს კრწანისთან ახლა,  
ვინ აფრიალებს ისევ დროშებს  
ქართლის ველებზე?  
დაუგდეთ ყური, ვიღაც ოხრავს,  
ვიღაც ხმაურობს,  
დავითს დაეძებს, თამარ მეფეს,  
ვახტანგ მეექვსეს...  
ისევ დაეძებს ამირანს და  
სამას არაგველს,  
გმირებს დაეძებს მებრძოლ ქალებს,  
ნამდვილ ვაჟკაცებს.  
ველარსად ხედავს მარაბდასთან  
ქართველთ საუნჯეს  
და ერეკლეს ხმალს მოელვარეს  
და მოკაშკაშეს...  
ახლა რაღა სჭირს, რატომ სტირის,  
რისთვის კანკალებს? –  
მის თავზედ დროშა ქართლოსანთა  
დაწვეს, დალეწეს;  
ყური დაუგდეთ! ის დასტირის  
ქვეყნის ბედ-იღბალს,  
გარდასულ გმირებს,  
მათ, ვინც ბრძოლის ველზე დაეცნენ...  
ყური დაუგდეთ მის ტანჯულ ხმას!  
წუთით ჩაფიქრდით,  
ეს გათანგული საქართველო  
გმირებს დაეძებს...

### ზოგჯერ ცხოვრება უსამართლოა

ზოგჯერ ცხოვრება უსამართლოა,  
მეფე ბატონობს ზოგჯერ მონაზე,  
ზოგჯერ სიცოცხლის ხეც კი დაჭკნება  
და აყვავდება ფითრი მუხაზე.  
მრავალი ქარი, თუ ქარტეხილი,  
როს გადაუფრენს ქვეყანას მძიმედ,  
ყოველ სულიერს და ლამაზს მოსპობს,  
მაგრამ ვერ მოკლავს რწმენას და იმედს.  
გაივლის დრო და რა შეიცვლება!  
არ აყვავდება ფითრი მუხაზე?  
ისევ შესძახებს ობოლს მფარველი,  
კვლავ იბატონებს მეფე მონაზე.  
ზოგჯერ ცხოვრება უსამართლოა,  
მაგრამ ქედს მის წინ არავინ იხრის,  
მუხლზეც არავინ არ დაუჩოქებს,  
კვლავ შეუძახებს რწმენით და რიხით...  
ოცნებას ვერვის ვერ გაუქარვებ,  
ვერ ათამაშებ, ვით მარიონეტს,  
მეფე ყოველთვის მეფედ დარჩება,  
თავს არ მოიხრის და არ იმონებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცარიელი სავარძელი

ერთი შეხედვით ეს დღე სხვებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. განუწყვეტლივ წვიმდა. დროდადრო თოვლსაც გამოურევდა. პირქუში ქარი მოდენიდა შავბნელ ღრუბლებს, რომლებიც მხოლოდ ავის მომტანი თუ იქნებოდნენ, ამ ღრუბლიანი დღისათვის. ცხოვრება ჩვეულებრივი გზით მიდიოდა, რომ არა ტელეფონის გაბმული კივილი, დანამული სახეები და მოსაწყენი უსასრულო დუმილი. შეკრებილი ხალხის ცრემლნარევი თვალები ენით უთქმელ სევდას გამოხატავდა.

გაშეშებული საათის ისრები ოთხს უჩვენებდა. დღეს რაღაც აკლდა შნო და ლაზათი, იქნებ ძალიან ახლობელიც. აღარ დადიოდა მაღალი ლანდი ოთახებს შორის, არ ეგებებოდა მამლის ყივილზე ყოველ გარიჟრაჟს, აღარ იქნევდა ძველებურად თითს და აღარც სუფრის თავში იჯდა თამადად.

ისევ გათენდა დილა. ვისთვის ბნელი, ვისთვის ნათელი. მამალმაც იყივლა ეზოს ბოლოში, მზემაც გააბნია პირველი სხივები. ნაცრისფერი კატა თამამად დანავარდობდა ოთახებს შორის და საყვედურის აღარ ეშინოდა. აივანზე შეამჩნევდით ცარიელ სავარძელს. იგი ამაოდ, მაგრამ მაინც ვიღაცას ელოდა. სიცოცხლე კი, ისევ ჩქეფდა ხვალინდელი დღის იმედით.

# კიდევ ერთი დაკარგული შვილი

ქართველებს ერთი უკურნებელი სენი სჭირთ. უნიჭიერეს მხატვარს, მეცნიერს თუ მწერალს, სიკვდილის შემდეგ მიაგებენ პატივს. გაიცნობს მთელი ერი, მაგრამ რად უნდათ, სიკვდილის შემდეგ მიგებული დიდება.

თუ ერთხელ მაინც გადაგივლიათ თვალი ფიროსმანის ცხოვრებაზე, მიხვდებით თუ როგორი ერთგვაროვანი იყო მისთვის ყოველი დღე. ალბათ, არცკი იცოდა რას წარმოადგენდა! ჭიქა ღვინოში გადაცვლილი თითოეული სურათი მისი ცხოვრების სიდუხჭირეზე მიუთითებდა. სადღაც სარდაფში, უზარმაზარი ნიჭი იყო გამოკეტილი, რომელსაც არსად ჰქონდა გასაქანი, ძველი სამიკიტნოს გარდა. სწორედ მის კედლებს ამშვენებდა ნიკალას შედევრები.

ამ თავმდაბალმა პიროვნებამ, რომელსაც ცხოვრებაში არ გაუმართლა და მისი საფლავიც კი არ დარჩათ ქართველებს, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ჰპოვა აღიარება. ალბათ ძნელი ასახსნელია, რატომ მოექცა მას ასე მუხანათურად საწუთრო და ცოცხალი ბედნიერება მკვდარ დიდებაზე გაცვალა.

სოფო მგელაძე

---

ჩანახატი

# „ღმერთო ჩემო.. რატომ?"

უყვარს რუსთაველზე გავლა. მართალია, მისი აზრით, იქ უკვე აღარ დაიარება უწინდელი პეწიანი, ლალი, თვალტანადი, ენაკვიმატი, თავაზიანი ახალგაზრდობა და მაინც...

ხელსაყრელ მომენტს არ გაუშვებს, რომ აქეთკენ არ გამოისეირნოს.

თავადაც უკვე აღარ არის ყმაწვილი. არც ძველებურად აცვია და ახურავს, არც ძველებური გუნება-განწყობილება აქვს: ლტოლვილის თუ დევნილის სტატუსი გონებას უმღვრევს, გულს უშხამავს. არც ქვეყნის დატოვება უცდია სხვებივით, ანუ უკეთესი ცხოვრების საცთურზე არ წამოგებულა ჯერჯერობით, როგორც თვითონ იცის ხოლმე თქმა ხუმრობანარევი სიმწარით თუ ირონიით.

ყველაფრის მიუხედავად, ანუ უფულობის და უბინაობის მიუხედავად, ყოფილი სტუდქალაქის ერთ პატარა ოთახში შეკედლებული დედით და დებით მაინც ახერხებს შედარებით კოხტად, მოდურად ჩაიცვას.

მერე რა, რომ „ძონძებში" ყიდულობს ტანისამოსს? შლაპა ყოველთვის უყვარდა და ახლაც, ნაჩუქარი საზაფხულო „პანამა" ახურავს და შნოიანად, ლამაზად, მოხდენილად გამოიყურება.

ისიც, რომ ლამაზი ქალია და ყველაფერი უხდება — თუნდაც ღამენათევი იყოს, აბიტურიენტებისათვის თემის წერაში ხშირად თავზე დაათენდება ხოლმე, რა ქნას, ამით შოულობს რაღაც კაპიკებს და არჩენს დაუძლურებულ დედას და უმცროს დებს.

გულს მაინც არ იტეხს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედს არ კარგავს, რაღაცას ელოდება, სულ რაღაც სასიკეთოს მოლოდინშია. გამოუსწორებელ ოპტიმისტს (როგორც თავის თავს უწოდებს) ხშირად ამასხარავებენ მეგობრები — ზოგი სიყვარულით, ზოგი ნიშნისმოგებითაც კი. მაგრამ... თითქოს არაფერს დაგიდევთ... თითქოს აინუნში არ აგდებს სხვათა ქილიკს თუ ხუმრობას, თუმცა... მარტო, თავის თავთან განმარტოებული, შავი ფიქრების ამარა დარჩენილი სასოწარკვეთილების უფსკრულშიც არაერთხელ ჩაყურყუმალავებულა.

... ლაღიძის წყლებს რომ მიუახლოვდა, უცებ შორიდანვე თვალი ჰკიდა ტროტუარის ნაპირზე მდგარ...

ოჰ, რა წარმოსადეგი ბიჭია! რა ტან-ფეხი აქვს, რა სახე! შავ, ბრიალა თვალებს აცეცებს. ვიღაცას ელოდება უთუოდ... „ალბათ გულისსწორს"! — იგულთამხილავა ცოტა არ იყოს გულდაწყვეტილმა და მაინც...

იგრძნო, როგორ შეიმართა, შიგნიდან რაღაც ცხელი ტალღა დაიძრა და მთელს სხეულს სიამით დაურბინა.

სიარული, ტანის რხევა უფრო მოქნილი, სხარტი გაუხდა. ლამაზი, ბუდეშურა თვალები ფარულმა ალმა აუნაპერწკლიანა, სახეს ალმური მოედო.

ქალი და კაცი! საოცარია, რა უხილავი, მაგნიტური მიზიდულობის ძალა არსებობს ამ ორ განსხვავებულ სქესს შორის. რა უხილავი, ფარული მუხტებით იძაბება ორთავე — ანგარიშმიუცემლად, გაუცნობიერებლად, ინსტიქტურად!

მანძილი მოკლდება მათ შორის! აი, სულ ახლოდან ხედავს ბიჭის თვალებს, მის ანთებულ მზერას..

ანაზდად... საიდანღაც ჩია ტანის, ჭიაყელასავით გაწრიპული ვაჟი ჩადგა მათ შუა. „ჭიაყელამ" გრძელღეროებიანი საუცხოო ყვავილები, ხელში რომ ეჭირა გაუწოდა „იმას".

„იმან" მადლიერების ღიმილით ჩამოართვა და: „ასეა, აბა!" — წამსვე ამოიკითხა ქალმა ვაჟის თვალებში მისი მისამართით ნაგულისხმევი!

„არავის სჭირდები შენ!" — ნიშნისგება თუ შეფარული მუქარა გამოკრთა „ჭიაყელას" მზერიდანაც.

ქალმა გზა განაგრძო ისეთი სახით, ვითომც არაფერი მომხდარაო. მაგრამ იქ, შიგნით... გულში მთავარი ძარღვი ჩაუწყდა თითქოს. თვალები მყისიერად ჩაეფერფლა, მოიმჩვარა, ნაბიჯები აერია.

„ნუთუ?"

წამის მერე უკვე სხვა კითხვა შეენაცვლა პირველს:

„ღმერთო ჩემო, რატომ?"

ყურებში ჯერ რაღაც უჩვეულო შიშინი გაისმოდა, მერე დაეგუბა.

გოგონების ტკარცალმა და ხმამაღალმა ლაპარაკმა წამიერად გამოაფხიზლა. დანისლულ თვალებს სინათლე დაუბრუნდა.

ჯიშიანი, ლამაზი გოგონები იყვნენ. მათი მოდური, გამომწვევი სიშიშვლე თითქოს საგანგებოდ ხაზს უსვამდა ქალური სხეულის მიმზიდველობას, რასაც სხვა დროს ალბათ გაკილავდა კიდეც, ყველაფერ უცხოურს ასე ბრმად როგორ ბაძავენო!.. ახლა კი...

„ვის სჭირდებით, გოგონებო! თუნდაც... სულ რომ გაშიშვლდეთ?"

სინანულის უზარმაზარმა გრძნობამ ლამის მთლიანად შეიპყრო მთელი მისი არსება.

„ვის სჭირდებით, გოგონებო?"... —კვლავ გაუელვა თავში სიტყვებმა და მერე ყველაფერი ბნელში გაუჩინარდა.

გულის სიღრმიდან კი, მისდაუნებურად, თითქოს კივილით დაიძრა:

„კი მაგრამ... რატომ?... ღმერთო ჩემო, რატომ?"

ციალა არდაშელია

# „დალხენილი"



სათაურად გამოტანილი სიტყვები ეკუთვნის ქალს, რომელიც ზღვაში მოტივტივე ნაფოტივით ხან ფსკერში იძირებოდა, ხან კი აღელვებული ტალღების ქოჩქიან ქაფში ყურყუმალაობდა... პირველად ეს ქალი მეტეხის ეკლესიაში დავინახე — მამა აკაკიმ დაყვავებით უთხრა: ნუ ხმაურობო. მამასთან ბევრი ეშმაკეული და ავადმყოფი დადის, ესეც რიგითი „პაციენტი" მეგონა... რამდენიმე დღის შემდეგ სიონის ეზოში მათხოვრობდა, მერე კი წირვაზე შემოვიდა და მგალობელთა გუნდს აჰყვა, — შესანიშნავად გალობდა, — პატრიარქმა ამბიონიდან გადმოხედა... მითხრეს, „მზიურში" მღეროდაო. „მზიურში" კი არა, „მზიურთან" ერთად ვმღეროდი, — გამიცინა და ისევ გარეთ გავიდა მოწყალების სათხოვნელად.

ძალიან ლამაზი შვილი ჰყავს, კოპწია, კოხტად თმადავარცხნილი. ადრე მეუფე იობი მეურვეობდა, ახლა კი მამა მიქაელი ზრდის მის ვაჟს.

ერთ ხანს ეს ქალი პატარა ძაღლით დადიოდა, — ვიღაცას სახლი დაუღლავა და იმათ მიუციათ თურმე. პატრონისაგან მოძულებული ძაღლი იმდენი ატარა, სანამ ერთ მღვდელს სახლში არ გაატანა, თანაც დასძინა: შებრალებიან უპატრონო ცხოველები და ფრინველები. ალბათ იმიტომაც, რომ თვითონ უპატრონო ბავშვთა სახლში იზრდებოდა, თუმცა... იქ ვინ მიიყვანა, არ იცის, არც ის იცის, სახელი ვინ დაარქვა, გვარი კი თავისმა გამზრდელმა მისცა და დღემდე მისი მადლიერია ყველაფერში.. თუ რამ სიკეთე ახსოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრებით ღმერთთან ვერ მივიდოდი“...

*ყველაფერს იმ ცხონებული ქალბატონთან აკავშირებს... თუმცა, უმჯობესია, თავად თამრიკო გოგიბერიძეს მოვუსმინოთ:*

***

„... თავი კოჯრის ბავშვთა სახლიდან მახსოვს. 5 წლის ასაკში მიშვილა პროფესორ მოსე გოგიბერიძის დამ — ელენემ, რომელიც იმ ხანად უკვე ასაკოვანი იყო, მაგრამ მზრუნველობა არ დაუკლია — შემიყვანა 39-ე საშუალო სკოლაში, მეშვიდე კლასიდან კი, მუსიკალურ ათწლედში გადამიყვანა. პიონერთა სასახლეში დავდიოდი, ჩემი პედაგოგები იყვნენ — თამარ თეთრაძე და ლუიზა კობალაძე. „მზიურთან" ერთად ვმღეროდი, მათთან ერთად დავდიოდი გასტროლებზე ჩვენი რეპერტუარით, — სულ მოვიარეთ: ულიანოვსკი, უფა, ყაზანი, ლენინგრადი, ვოლგოგრადი, მოსკოვი... იმ მოგზაურობიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა გამორიყული გემის ნამსხვრევები, — ადამიანებსაც ხომ ასე გაგვრიყავს ხოლმე ცხოვრება...

დედაჩემს ერთი მეგობარი ჰყავდა — თამარ სხირტლაძე, ექიმი იყო ის ქალი — პროფესორი, — არ ვიცი, რა ნახეს ჩემში ისეთი, — მეუბნებოდა: ელენემ დამასწრო, თორემ მე უნდა მეშვილებინეო... დედაჩემი გაუთხოვარი იყო, უპატიოსნესი ყველაფერში, — საქენერგოს უფროსად მუშაობდა. იცით, როგორ უყვარდა თავისი ძმა? — ბატონი მოსე ხომ ემიგრანტი იყო, გერმანიაში გარდაიცვალა. დედაჩემმა დიდი გაჭირვებით მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა და მისი ძვლები ჩემოდნით ჩამოიტანა ჩოხატაურში. მოსე გოგიბერიძის სახელობის მუზეუმიც დედაჩემის ძალისხმევით გაიხსნა... ეჰ, არაჩვეულებრივმა ქალმა მიშვილა, მაგრამ როგორ ვაბრაზებდი, იცით? მწარედ მაგონდება ყველაფერი, ახლა რაღას ვუშველი. ერთადერთი ისღა დამრჩენია, რომ ეკლესიაში სანთელს ვუნთებ და საფლავზე მივდივარ ხოლმე... ყველაფერი ჩემი უგუნურობით დავკარგე; რაც დამემართა, ყველაფერი ჩემი ბრალია. შეიძლება, იმ ადამიანების გენმა იმძლავრა, ვისი სისხლიც მიდგას, მაგრამ თავს მაინც არ ვიმართლებ, ყველაფერი ჩემი ბრალია!..

დედა ავად რომ გახდა, საავადმყოფოში მის ფეხებთან მეძინა ხოლმე. წუთით არ ვშორდებოდი, ვუვლიდი. ნათესავებისგან და მეგობრებისგან მზრუნველობა არ აკლდა, მაგრამ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მაინც გარდაიცვალა, — მასთან ერთად ჩემი მზეც ჩავიდა...

დედას მყუდრო ბინა ჰქონდა ლერმონტოვის ქუჩაზე, რომელიც ჩემი უგუნურობით დავკარგე. დაკარგვა ჰქვია, აბა რა, ბინას რომ სასმელის გულისთვის გაყიდის ადამიანი... ერთი სიტყვით, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ სულ ხელიდან წავედი. ჯერ იყო და უწესო ცხოვრების შედეგად ბავშვი გავაჩინე, მერე ეს ბავშვი წყნეთის ბავშვთა სახლში ჩავაბარე. ხუთ წლამდე იქ იზრდებოდა, მივდიოდი ხოლმე, ვნახულობდი, ერთხელ ავედი და ბავშვი აღარ დამხვდა, ალბათ გაყიდეს... დღემდე ვეძებ, მაგრამ სადღა ვიპოვი... მე ზურიკოს ვეძახდი, ახლა შეიძლება სხვა სახელიც ჰქვია, 20-21 წლისა იქნება, — ნეტავი როგორია?! ქუჩაში მისი ასაკის ბიჭებს ვაკვირდები, დარწმუნებული ვარ, რომ ვნახო, ვიცნობ, — იცით, როგორ მენატრება?!

ზურიკო უმამოდ გავაჩინე, მაგრამ მერე გავთხოვდი ერთ მუსიკოსზე და ნიკა შემეძინა. ჩემი ქმარი თავის დროზე „რეროში" უკრავდა. კეთილი კაცი იყო, მაგრამ სვამდა, მეც მისი მიხედვით უარესი დამემართა, — დედაჩემის ბინაც იმან გამაყიდინა სასმელისთვის. თვითონ კარგი ბინა ჰქონდა მთაწმინდაზე, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ხელმოწერილი ცოლ-ქმარი ვიყავით, სახლმართველობამ დალუქა ბინა და მერე ლტოლვილებმა შეამტვრიეს კარი. ისინი დღემდე იქ ცხოვრობენ, მე კი ქუჩა-ქუჩა დავწანწალებდი, ხან რომელ სადარბაზოში მეძინა, ხან — რომელში. ვლოთობდი, ტიპიური კახპა ვიყავი... ბოლოს საპატრიარქოს ბაღში დავიდე ბინა, საიდანაც უწმიდესის ლოცვა-კურთხევით ფერიცვალების მონასტერში გამგზავნეს აქვე, ავლაბარში. მონაზვნად კი არ მამზადებდნენ, (ჩემისთანა ლოთი და ოხერი რა სამონაზვნოა!) მონაზვნები ზრუნავდნენ ჩემზე, მაგრამ არც იმათ შევეპუე და იქიდანაც გამოვვარდი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), გულს ვერაფერს ვერ ვუდებდი. ბოლოს კი მამა აკაკი გავიცანი მეტეხში, რომელმაც თვალი ამიხილა და დამანახა ღმერთი!

უბინძურესი გზებით ვიარე, მაგრამ არ ვნანობ ჩემს წარსულს. ცოდვებს ვნანობ მხოლოდ, იმ საშინელ ცხოვრებას ნამდვილად კი არ ვნანობ, რადგან სწორედ იმ უბედურების ფასად შევიძინე ღმერთი. დალხენილი ცხოვრებით ღმერთამდე ვერ მივიდოდი, ყველაზე დიდი განძი კი სარწმუნოებაა. სად აღარ დავყავდი დედაჩემს, სად აღარ ვსწავლობდი, მაგრამ ღმერთზე სიტყვაც არსად მსმენია. დღეს კი, ღვთის მადლით, უკვე ვიცი, რა არის მთავარი... არც სახლი მინდა, არც კარი, არავისი არაფერი შემეხარბება, მარტო იმას ვნატრობ, რომ ღმერთმა მაპატიოს ჩემი ცოდვები და სული მიცხონოს. იცით, რამდენიმე ჩემნაირი ამოვიყვანე წუმპედან — გადავარჩინე! ეს ძალიან მახარებს, ნეტავი შესაძლებლობა მქონდეს, რომ ყველას დავეხმარო, დიდი სახლი რომ მქონდეს, ყველა გზააცდენილს ჩემთან წავიყვანდი და პირობებს შევუქმნიდი, რომ გამოსწორებულიყვნენ. მაგრამ... მეც თაგვის სოროსხელა ოთახი მაქვს დაქირავებული „მეიდანში", — მათხოვრობით ძლივს გამაქვს თავი. ჩემს შვილზე მოძღვრები ზრუნავენ, ვიცი, კარგ კაცად გაზრდიან. მადლობელი ვარ ღმერთის, ყველაფერში მეხმარება, — ყველას ეხმარება, მაგრამ ადამიანიც თუ არ დაეხმარა თავის თავს, ისე არაფერი გამოვა... ერთადერთი ჭეშმარიტება ღმერთია, სხვა ყველაფერი ამაოა! მე სამოთხის ღირსი არ ვარ, მაგრამ ჯოჯოხეთის მეშინია და ღმერთს ვთხოვ, სადმე სამოთხესთან ახლოს მიმიჩინოს მარადიული ბინა... როგორ მინდა, ყველას ვურჩიო, რომ სწორ გზაზე დადგნენ და მოინანიონ ცოდვები, მაგრამ ღმერთს არ უჯერებენ და მე ვინ ვარ?!

თამრიკო ზოგჯერ გაუჩინარდება ხოლმე, არც მეტეხშია, არც — სიონში. ამ დროს ვიღაცას სახლს ულაგებს, ან ურეცხავს, არავის დაზარდება, ყველას ეხმარება... ამას წინათ სათვალე გამატანა ერთ ავადმყოფ ბერ-მონაზონთან, რომელსაც დაუჩივლია, კარგად ველარ ვხედავო და თამრიკოს ორი დღე მისთვის უგროვებია ფული.

**„... ნეტარ იყვნენ მოწყალენი!"** — ალბათ თამრიკოსაც შეიწყალებს ღმერთი.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედების სკოლა

# ბავშვი და სათამაშო

სათამაშოები განსაკუთრებით სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებს იტაცებს. მათი წყალობით ისინი ისე ერთობიან, ჭამა და ძილი ავიწყდებათ. მაგრამ სათამაშო მარტო გასართობი როდია. სურათებიანი „კუბიკები", ავეჯი თოჯინების ოთახისათვის, ავტომანქანა, თვითმფრინავი, მატარებელი თუ ასაწყობი სახლი ბავშვს ფანტაზიას უვითარებენ.

ფიზიკური სიჯანსაღისათვის განსაკუთრებით სასარგებლოა ბურთითა და სახტუნაოთი თამაში, სმენის განსავითარებლად – საყვირი, ტუჩის გარმონი, საბავშვო როიალი.

ერთად შეკრებილი სამი-ოთხი წლის ბავშვები ლოტოთი და დომინოთი შესანიშნავად ერთობიან.

ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს მრავალფეროვანი, დამოუკიდებელი და ხანგრძლივი თამაშობები უფრო იტაცებთ. მაგალითად, სახლობანა, თოჯინების მოვლა, „კუბიკებით" სახლების, მატარებლების, გემების აგება, ხის ან მეტალის კონსტრუქციებით ჩხირკედელაობა, ბურთი, თხილამურები, ციგურები...

მზრუნველმა მშობლებმა ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ და შვილებს ასაკის შესაფერისი სათამაშო შეურჩიონ.



# როგორ გავუქარწყლოთ ბავშვს შიში

ბავშვობისას შიში თითქმის ყველას განუცდია – ამის უგულებელყოფა არ შეიძლება. სწორედ მშობლებზეა დამოკიდებული უკვალოდ ჩაივლის თუ არა ბავშვისთვის გადატანილი შიში.

სხვადასხვა ასაკში შიშის აღქმა სხვადასხვანაირია. გარკვეული სახით იგი ბავშვს 7 თვის ასაკში უყალიბდება, როცა იწყებს ღელვას დედის არყოფნის გამო. 8 თვისას უკვე უცნობების ეშინია, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი არჩევს, ვინაა მისიანი და ვინ – უცხო. ამ შემთხვევაში თავისებურად მჟღავნდება თავდაცვის ინსტიქტი. როგორ მოვიქცეთ, როცა ბავშვი ამგვარ შიშს ამჟღავნებს? ნუ შევეცდებით გადავაჩვიოთ ამ „ცუდ საქციელს". პირიქით, ვეცადოთ, მინიმუმამდე შევამციროთ ტრავმის მომგვრელი სიტუაციები.

ნუ აიძულებთ ბავშვს გაიცნოს უცხო ხალხი. თუ აუცილებელია უცხოსთან კონტაქტი (მაგალითად, ექიმის კაბინეტში), შესაძლებლობისდამიხედვით ბავშვი თქვენ გეჭიროთ. ხოლო თუ ბავშვი მაინც ატირდა, გასინჯვა რაც შეიძლება მალე დაასრულეთ.

წლის მეორე ნახევარი ხელსაყრელი არაა დედასთან დასაშორებლად. მაგრამ თუ ეს დროებითი დაშორება მაინც აუცილებელია, სინდისის ქენჯნით ძალიან ნუ დაისჯით თავს. შეეცადეთ წინასწარვე შეაჩვიოთ ბავშვი სხვა ადამიანს.

1.5-იდან 6 წლამდე ბავშვი ყველანაირ შიშს გამოცდის. 2 წლიდან სიბნელისა და ღამის ეშინია, 3 წლის ბავშვი ცხოველებს გაურბის, 4-ისა – მწერებს, წყალსა და სიმაღლეს. ამ ასაკში ძალიან ეშინიათ ზღაპრის პერსონაჟების – მგლების, გველეშაპების, დევების.

2-3 წლის ასაკში იმ ბავშვებს, რომლებსაც სიბნელისა და ღამის ძილის ეშინიათ, შეიძლება ეს გრძნობა ძილისწინა სიტუაციებით დავაძლევინოთ, მაგალითად, დაბანვით, მამასთან საკოცნელად მიყვანით, დედის მუხლზე ქანაობით, დათუნიას ლოგინში ჩაწვენით... ეს რიტუალები მას დაძაბულობას მოუხსნის.

ამერიკელი ფსიქოლოგი ედნა ლე შანი ყვებოდა, რომ თავადაც, როგორც სხვა გონიერი დედები, დაბეჯითებით უხსნიდა შვილს, სიბნელის არ შეშინებოდა, გოგონამ კი უპასუხა: შენი სიბნელის კი არა, ჩემი სიბნელის მეშინიაო. მართლაცდა, არასოდეს არ უთხრათ პატარას, რომ მას არ უნდა ეშინოდეს, რომ ეს შიში სისულელე და სასაცილოა. შიში არ გაქრება, იგი შეიძლება ბავშვმა დამალოს, ამიტომ უმჯობესია უთხრათ ბავშვს, რომ იცით ამ შიშის შესახებ და რომ ყველა ბავშვს რაღაცის ეშინია. მაშინ იგი იგრძნობს, რომ უჩვეულო არაფერია, ყველაფერი წესრიგშია და თქვენ ის გიყვართ.

სასკოლო ცხოვრების დასაწყისიდანვე, როცა ბავშვს ორგანიზებულობა და თანატოლებთან ურთიერთობა მოეთხოვება – სპეციფიკური, სიტუაციური შიში ჩნდება. ამას უფრო მეტად ემოციური, შთაბეჭდილებიანი ბავშვები განიცდიან. მათ ეშინიათ დაგვიანების, მშობელთა კრების, დაფასთან პასუხის. თუ მას ამ შემთხვევაში არ დაეხმარებით, ეს შიში სერიოზულ სახეს მიიღებს.

სოციალურ შიშს ბავშვი სხვადასხვანაირად ავლენს: შეიძლება ჯიუტად ეძებოს მიზეზი და შინ დარჩეს. მაშინ უნდა გამოვკითხოთ – რისი ეშინია. ხშირად ბავშვი თავადაც ვერ აცნობიერებს, რატომ ეშინია სკოლაში წასვლა. ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ და გავარკვიოთ, რატომ უჩივის თავის თუ მუცლის ტკივილს, რატომ ვერ იძინებს.

ნუ მოვახვევთ თავს იმ წესებსა და მოვალეობებს, რომელთა შესრულებაც ბავშვს არ შეუძლია. ნუ გავუხდით სწავლის პირობებს დრამატიზებულად: „სკოლიდან გამოგაგდებენ", „ცოდნიანი დარჩები და მეეზოვედ იმუშავებ". ნუ იწუხებთ, ეს არ მოხდება. მაღალ კლასებში ბავშვი გაიცნობიერებს თავის მოვალეობებს და მოემზადება უმაღლესისათვის. მანამდე კი სკოლის არ უნდა ეშინოდეს და თუ ხალისით არა, მოვალეობისათვის უნდა მიდიოდეს. ბავშვის სიმშვიდისათვის მას გვერდით უნდა ამოუდგეთ და ოჯახური საქმიანობა დროებით გადადოთ.

ნუ გავაკონტროლებთ ყველა ასოს, რომელსაც შვილი დაწერს და ნურც საშინაო დავალებას დაუწერთ, ვინაიდან იგი დაკარგავს საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენას და სხვადასხვა სიტუაციებში თავს ყოველთვის დამნაშავედ იგრძნობს. აგრძნობინეთ, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, თქვენი მხარდაჭერისა და დახმარების იმედი მუდამ ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ამ რამდენიმე ხნის წინ დიდ ბრიტანეთში დიდი აჟიოტაჟით გაიყიდა დონალდ ვულფის სენსაციური სახელწოდების მქონე წიგნი „მერილინ მონროს მკვლელობა", რომელმაც საბოლოოდ დაანგრია მრავალი წლის მანძილზე არსებული ლამაზი მითი XX საუკუნის სექს-სიმბოლოს თვითმკვლელობის შესახებ.**



# მონროს სიკვდილის საიდუმლო

**1962** წლის 5 აგვისტოს, კვირა დილას მერილინ მონრო თავის საძინებელში მკვდარი იპოვნეს – არაბუნებრივად გაჭიმული ვარსკვლავი დალურჯებული სხეულითა და დამტვრეული ფრჩხილებით საწოლის გარდიგარდმო ნემბუტალის ცარიელ შუშებს შორის იწვა.

საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ იგი აშშ-ის პრეზიდენტის ჯონ კენედის სატრფო გახლდათ, მაგრამ არავინ იცოდა, რომ ისინი 1946 წლიდან, კენედის პრეზიდენტად, ხოლო მონროს ვარსკვლავად გახდომამდე კარგა ხნით ადრე იცნობდნენ ერთმანეთს. იმ ხანებში ჯონი გასართობად ხშირად სტუმრობდა ხოლმე ჰოლივუდს და ერთ წვეულებაზე ლამაზ ქერათმიან ასულს შეხვდა. 1947 წელს მერილინს ჯონისგან ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ნენსი გრინი უწოდეს და აღსაზრდელად ბრუკლინში სიცილიელი ემიგრანტების ოჯახს მიაბარეს, რადგან არასასურველი ბავშვი მონროს ბრწყინვალედ დაწყებულ კინოკარიერას დანგრევას უქადდა. ქალს მეტად აღარც უნახავს შვილი, თუმც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხშირად იხსენებდა მას. არსებობს ჯონ კენედის ხელით შესრულებული 1960 წლის ჩანაწერი (იგი ოფიციალური ექსპერტიზითაა დამტკიცებული), რომელიც იუწყება: „მერილინს ნენსი გრინის პრობლემის საჯაროდ გამოტანა სურს".

მერილინისა და ჯონ კენედის ურთიერთობა არც მოგვიანებით შეწყვეტილა. როცა 1954 წელს ჯონი საავადმყოფოში იწვა, სასთუმალთან კედელზე უკუღმა ცისფერ შორტებში გამოწყობილი მერილინის პლაკატი ეკიდა.

დაახლოებულ პირთა მტკიცებით, მონროს მისის ჯონ კენედად გახდომის სერიოზული იმედი ჰქონდა. ზოგჯერ იგი შავ პარიკსა და რქისჩარჩოიან მუქ სათვალეს იკეთებდა ჟაკლინის რომ დამსგავსებოდა და ერთხელ მისი იერით ფოტოც კი გადაიღო. 1959 წლის დეკემბერში ჯონმა საპრეზიდენტო კამპანია წამოიწყო და ნათელი გახდა, რომ განქორწინება გამორიცხული იყო. თუმც, ამის მიუხედავად, როცა პრეზიდენტი გახდა, მერილინი ბავშვივით ხარობდა, „მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებას" რომ ხვდებოდა.

სწორედ ამ ხანებში ეცნობა მონრო ჯონის ძმას, იუსტიციის მინისტრს რობერტ კენედის და ბევრს ესაუბრება – მათ შორის პოლიტიკაზეც. მერილინს ცუდი მეხსიერება აქვს და სახელებსა და საუბრის თემებს წითელ წიგნაკში იწერს, რომელსაც თავად „საიდუმლოებათა წიგნს" უწოდებს. მასში მოხსენიებული იყვნენ ძმები კენედები, ფრენკ სინატრა, ფიდელ კასტრო, საბჭოთა კავშირი, ვიეტნამი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, კომინტერნი, ძიების ფედერალური ბიურო, მაფია. „საიდუმლოებათა წიგნის" ბედი მონროს გარდაცვალების შემდეგ უცნობია, იგი უკვალოდ გაქრა გამომძიებლის სეიფიდან.

1962 წლის 19 მაისს მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ მერილინმა ლამის კრუტუნით წაიმღერა თავისი სახელგანთქმული "Happy Birthday Mister President". რამდენიმე საათის შემდეგ კი პრეზიდენტ კენედისთან ერთად ოტელ „Carlyle"-ის საპრეზიდენტო აპარტამენტებს მიაშურა, სადაც შეყვარებულებმა მთელი ღამე ალერსში გაატარეს. მას შემდეგ ქალს ჯონ კენედი აღარ უნახავს.

პირდაპირი სატელეფონო ხაზი, რამდენიმე წლის მანძილზე რომ აკავშირებდა მონროსა და კენედის, ლიკვიდირებული იქნა, წერილები გაუხსნელად ბრუნდებოდა უკან. რობერტ კენედი დაჟინებით ცდილობდა მერილინის დაყოლიებას, თავი დაენებებინა პრეზიდენტისთვის. მალე იგი თავადაც ჩამოშორდა ქალს, რომელსაც ენაზე კბილის დაჭერა არ შეეძლო. მერილინი საშინლად განაწყენებული იყო. გრძნობდა, რომ გამოიყენეს და უარყვეს. „პრესკონფერენციას მოვიწვევ. სათქმელი ბევრი მაქვს", – იმუქრებოდა იგი და ვერ ხვდებოდა, რომ ამით საკუთარი თავისთვის სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდა.

1962 წლის 4 აგვისტოს, შაბათ საღამოს მერილინი ტელეფონით საუბრობდა, როცა კართან ფეხის ხმა გაიგონა. ქალმა თანამოსაუბრეს ცოტა ხნით მოცდა სთხოვა და კარის გასაღებად გაეშურა, მაგრამ ტელეფონთან აღარ დაბრუნებულა.

ეს დაახლოებით საღამოს 9 სთ. 30 წთ-ზე ხდებოდა. მეზობლებმა და მოახლემ კარგად დაინახეს, როგორ შევიდა სახლში სამი მამაკაცი, რომელთაგან ერთში იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი ამოიცნეს. მეორე „სტუმარს" ხელში პატარა შავი ჩემოდანი ეჭირა. დაახლოებით შუაღამისას მეზობლებმა პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანები დაინახეს, ისმოდა ვერტმფრენების გუგუნი და ჩამსხვრეული მინის ხმა, ქალის ისტერიული კივილი: „მკვლელებო, ახლა ხომ დაისვენეთ?!" გარშემო უამრავ ხალხს მოეყარა თავი, იქვე იყვნენ მერილინის ექიმი, პირადი ფსიქიატრი, მოახლე და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე ოფიცერი, მათ შორის ისინიც – ვინც რამდენიმე საათის წინ კინოვარსკვლავს ისეთი ინექცია გაუკეთეს, თხუთმეტ კაცს სულ თავისუფლად რომ გაუყენებდა საიქიოს გზას. მონროს საქმის ირგვლივ ძიებაც მისმა მკვლელებმა დაიწყეს.

მალე ყველაფერი ჩაწყნარდა. მერილინის სხეული საძინებელში გადაიტანეს. დილის 4 სთ. და 25 წთ-ზე პოლიციის სერჟანტმა ჯეკ კლემონსმა სატელეფონო შეტყობინება მიიღო, მერილინის ექიმი, დოქტორი ენჯელბერგი იუწყებოდა: „მერილინ მონრო გარდაიცვალა. საქმე აშკარა თვითმკვლელობასთან გვაქვს".

**მოამზადა** მანანა იმესაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიასახლისების დასახმარებლად

● წვნიანში რეკომენდებული არაა უმად ჩადოთ სტაფილო და ოხრახუში, ვინაიდან დუღილისას არომატიზებულ ნივთიერებები იკარგება. უმჯობესია, ისინი წინასწარ მოშუშოთ.

● თევზის შეწვისას უსიამოვნო სუნი არ შეგაწუხებთ, თუ ტაფის ფსკერზე უმი კარტოფილის რამდენიმე ნაჭერს მოათავსებთ.

● თუ გაწმენდილ და გარეცხილ თევზს ძმარს დააპკურებთ, იგი უფრო გემრიელი და ნაზი გახდება.

● მოხარშული კარტოფილი გემრიელი იქნება თუ წყალში 5-6 კბილ ნიორს და დაფნის ფოთოლს მოათავსებთ. ორთქლზე მოხარშული კი ნაკლებ ვიტამინებს კარგავს.

● მაკარონი შეიძლება მოხარშოთ და წყალი არ გადაავლოთ. ამისათვის წყალში, რომელშიც იგი იხარშება, ცოტაოდენი კარაქი ან მარგარინი ჩადეთ.

● მწვანილი რომ დიდხანს შეინახოთ, გარეცხეთ, გააშრეთ, გაახვიეთ ქაღალდში და პოლიეთილენის პარკში მოათავსეთ.

● შემწვარი კარტოფილი უფრო გემრიელი იქნება, თუ შეწვის წინ ფქვილში ამოავლებთ. ამ წესის გამოყენებით ფქვილი ცხიმს იწოვს და ნაკლებად ილვრება. ასევე შეიძლება ხახვის შეწვა. ის ოქროსფერი და ხრაშუნა გამოდის და, რაც მთავარია, არ იწვის.

● ხორცი რომ გემრიელი იყოს, მას მაღალ ცეცხლზე ხარშავენ ან ადუღებულ წყალში დებენ. ამ შემთხვევაში ბულიონი გემრიელი არ გამოდის. იგი რომ გემრიელი იყოს, ნელ ცეცხლზე უნდა ადუღოთ და ხორცი თავიდანვე ცივ წყალში ჩადოთ.

## ახალი შეხედულება ქოლესტერინის შესახებ

დღეს ზოგიერთები ქოლესტერინს ჯანმრთელობისთვის მავნედ თვლიან. მართალია თუ არა ეს?

ცხიმიანი არაჟანი რატომაა უცხიმოზე გემრიელი? უცხიმო ხაჭო საერთოდ არ იჭმევა, თუ მას ცხიმიან არაჟანს არ დავასხამთ. თურმე, თავი და თავი ქოლესტერინია, რომლითაც მდიდარია ყველანაირი ცხიმიანი პროდუქტი. სწორედ ის ანიჭებს კერძს განუმეორებელ გემოს, არა და, მას შემდეგ, რაც მედიკოსებმა მიაგნეს ათეროსკლეროზის გამომწვევ ქოლესტერინს ცხოველთა ცხიმში, მოდაში შემოვიდა უქოლესტერინო საჭმლის მიღება: რად გვინდა ეს ქოლესტერინიო. ფიზიოლოგების აზრით, ქოლესტერინი აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური მუშაობისთვის. ის სასქესო ჰორმონების ნედლეულს წარმოადგენს. მისი ნაკლებობა ქალებში იწვევს ნაადრევ კლიმაქსს, მამაკაცებში კი პოტენციის დაქვეითებას. ქოლესტერინი უზრუნველყოფს უჯრედების დაყოფას, ამიტომ ის აუცილებელია ბავშვების ზრდისათვის. იგი ენერგიის წარმომქმნელი, ცხიმების გამხსნელი და A,D,E,K ვიტამინების წყაროა. ვიტამინი D ხელს უწყობს ძვლების სიმაგრეს, ვიტამინი K – სისხლის შედედებას, ვიტამინი A – მთელი ორგანიზმის მუშაობას, ვიტამინი E აუცილებელია გულისათვის. დამტკიცებულია, რომ სისხლში ქოლესტერინის ნაკლებობა იწვევს დეპრესიას. მაგრამ ყველაფერში საჭიროა ზომიერების დაცვა.

ადამიანს დღეში ესაჭიროება 30 გრამი ცხიმი, 20 გრამი ნაღების კარაქი, 2 სუფრის კოვზი ზეთი (სასურველია ზეითუნის) 100 გრამი თევზი, 100 გრამი მოხარშული ხორცი, 30 გრამი ყველი, 150 გრამი იოგურტი, ცოტაოდენი ნიგოზი.

## მივირთვათ თუ არა მაკარონი

თქვენ გგონიათ, რომ მაკარონი ასუქებს? სულაც არა. გაიხსენეთ სოფი ლორენი, რომელიც მაკარონს ყოველდღე მიირთმევს.

იტალიელები უმაკარონოდ ერთ დღესაც ვერ ძლებენ. მათი მაკარონი უხეში დაფქვის მაღალი ხარისხის ფქვილისაგანაა დამზადებული. მაკარონის წყალობით იტალიელები ყოველთვის მხიარულები არიან. დიეტოლოგები გვირჩევენ, იგი კვირაში რამდენჯერმე მივირთვათ: ნახშირწყლების და ვიტამინი $B_1$-ის წყალობით გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკი კლებულობს, სტრესები მცირდება, განწყობა მაღლდება და ვხდებით კიდეც.

## ფაფის სიკეთე

თქვენ გგონიათ, ფაფა მხოლოდ ბავშვმა უნდა ჭამოს? ცდებით. იგი სასარგებლოა მისთვისაც:

1. ვინც ჯანმრთელობას უფრთხილდება. ფაფა კუჭს გასტრიტისა და წყლულისაგან იცავს. იგი განსაკუთრებით სასარგებლოა მისთვის, ვისაც სადილობის ნორმალური საშუალება არა აქვს. ბურღულის შემადგენლობა არეგულირებს საჭმლის გადამუშავებას, აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და სისხლძარღვების მდგომარეობას, რაც ხელს უწყობს გულის ნორმალურ მუშაობას.

2. ვისაც მომჭირნეობა უყვარს. ბურღული შეიცავს საკმაო რაოდენობის რკინას, სპილენძს, თუთიას (რაც საკმარისია ჩვენთვის), აგრეთვე ცილებს, B,PP ჯგუფის ვიტამინებს. თუ ფაფას ყოველდღე მიირთმევთ, ეკონომიას ვიტამინების ხარჯზე გააკეთებთ.

3. ვისაც გასუქება არ სურს.

რძიანი ფაფა ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და პასუხს აგებს ჩვენს წონაზე. ბურღული ნელა მუშავდება და ნელადვე შეითვისება, რაც მიშნავს, რომ დიდხანს არ მოგშივდება. ვისაც ფაფა უყვარს, დღის განმავლობაში ცხიმებსაც ცოტას იღებს და არ სუქდება.

4. ვინც აფასებს კარგ განწყობას.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ვინც დილით რეგულარულად მიირთმევს ფაფას, კარგ ფიზიკურ ფორმაშია და დეპრესია არ აწუხებს. ამერიკელმა დიეტოლოგებმა ადამიანებზე დაკვირვებებით აღიარეს, რომ ვინც საუზმედ ფაფას მიირთმევს, ნაკლებად ღიზიანდება.

5. ვინც გათვითცნობიერებულია ჭამის საკითხში.

უძველესი დროიდან რუსეთში ფაფა საყვარელ კერძად ითვლებოდა. ფაფას მიირთმევდნენ ქორწილებსა და ნათლობებზე. ფაფით ინგლისელი არისტოკრატებიც ინებივრებდნენ თავს.

წიწიბურის ფაფა მდიდარია შეუცვლელი ამინომჟავებით და განსაკუთრებით ლეციტინით. 100 გრამი წიწიბურა შეიცავს 12,6 გრამ ცილას, 68 გრამ ნახშირწყლებს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, კალას და ფოსფორს.

100 გრამი ფაფა განსკუთრებით მაწიერია, შეიცავს 15 გრამამდე პროტეინს რაც მოზრდილი ადამიანის დღიური ნორმის მეოთხედია. თუთიის შემცველობით იგი ყველაზე მდიდარია.

მანანის ფაფა ყველაზე კალორიულია. 100 გრამი მანანი შეიცავს 33,1 კ.კალორიას, მასში 0,25 მლ. ვიტამინია, 0,08 მლ. 176 მლ. კალიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოსდა, რა უნდა იყოს განსაკუთრებული კოლგოტებში? ბევრი არაფერი, უბრალო წვრილმანია, შეუმჩნეველი „სამოსელი ფეხებისათვის", ყველგან მინიატურული კოლოფებით რომ იყიდება და იოლად თავსდება ხელისგულზე. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ და, ამ „წვრილმანით" თურმე სახელის მოხვეჭა და მილიონიანი ქონების დაგროვება შეიძლება.

# ჭაქროიანი ცდუნება

თუმცა, თუ ისტორიას დაეჯერება, 1946 წელს ავსტრიის ქალაქ ჰარდის ძველ წისქვილში წინდების პატარა საწარმოს გახსნისას, კომპანია ,,Wolford''-ის დამფუძნებლები ვალტერ პალმერსი და რეინჰოლდ ვოლფი სულაც არ ფიქრობდნენ მსოფლიოს დაპყრობაზე. მით უმეტეს, რომ თავიდან იგი მსხვილი ქიმიური კომპანიის განყოფილებად იყო ჩაფიქრებული. მაგრამ ომის შემდგომ კურორტებზე აქტიურად აღორძინდა მაღალი წრის ცხოვრება და დამფუძნებლებიც მიხვდნენ, რომ წინდების მსგავსი წვრილმანი მეჯლისებსა და წვეულებებს დანატრებული მანდილოსნებისათვის ჰაერივით აუცილებელი იყო. მართლაც, ძალიან მალე აბრეშუმის ნახევარწინდები და თხელი ელასტიკური წინდები მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ დაბრუნების სიმბოლოდ იქცა. 1950 წლის 1 იანვარს კი კონსტანცის ტბის ულამაზეს ნაპირზე გაშენებულ ქალაქ ბრეგენცის ერთ ფეშენებელურ შენობაში კომპანიას ,,Wolford AG'' ჩაეყარა საფუძველი.

სწორედ ამ ხანებში ევროპა ნეილონის ბუმმა მოიცვა და სიახლე ელვისუსწრაფესად დაიტაცეს, სულ მალე კი უახლესი ნედლეულისა და ტექნოლოგიების, მძლავრი სარეკლამო შეტევებისა და ბაზარზე საქონლის გატანის მოულოდნელი მეთოდების წყალობით ,,Wolford''-ის ნაწარმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა. (სახელგანთქმულ ფილმ ,,მულენ რუჟში'' შეუდარებელი ნიკოლ კიდმანის ულამაზეს ფეხებს სწორედ ,,Wolford''-ის ფირმის შესანიშნავი წინდები ამშვენებს).

არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ფირმამ კლიენტების გარდერობი ისეთი ფასეული სიახლეებით შეავსო, როგორიცაა უსარტყელო რეზინიანი წინდები, მოჭიმვის ეფექტის მქონე კოლგოტები, აბსოლუტურად უნაკერო კოლგოტები ,,Fatal''-ი... ძალიან შეიყვარეს მანდილოსნებმა ,,Wolford''-ის საბანაო კოსტიუმები, ელასტიური კაბები და ტრიკოტაჟი.



ხუთი წლის წინ კომპანიამ მორიგი ექსპერიმენტი წამოიწყო



– ,,ყველაზე პროგრესული და მოდური'' მარკის რეპუტაცია რომ შეენარჩუნებინა, ხელმძღვანელობამ ცნობილ მოდელიერებს შესთავაზა თანამშრომლობა (აქამდე ,,Wolford''-ის საქმიანი ურთიერთობა სახელგანთქმულ კუტურიეებთან ჩვენებებისთვის წინდებისა და კოლგოტების მიწოდებით ამოიწურებოდა), რომლებიც თავად შეიმუშავებდნენ მოდურ ნაწარმს. პირველი – ავეჯისა და სახლის აქსესუარების ცნობილი დიზაინერი ფილიპ სტარკი გახდა, რომელმაც უნაკერო მილი-ტრანსფორმერი გამოიგონა, სურვილის შემთხვევაში სარაფანად, ქვედაბოლოდ, კაბად ან სულაც ტოპად რომ გარდაიქმნებოდა... წელს კი ,,Wolford''-მა უკვე ვივიენ ვესტვუდის ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრიკოტაჟის კოლექცია შესთავაზა მომხმარებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ახალგაზრდა დიასახლისებისათვის

## უხორცო კერძები

უწინ ხალხი ხორცს იშვიათად ეტანებოდა. უმრავლესობა მარხვას ინახავდა. გარდა ამისა, არც მატერიალური და ხორცის შენახვის საშუალება არ გააჩნდათ, რომ ყოველ მეორე, ან მესამე დღეს ხორციანი კერძი მოემზადებინათ. სამაგიეროდ, ყოველდღიურ საკვებად უხორცო კერძების ფართო არჩევანი ჰქონდათ.

გთავაზობთ რამდენიმე სახეობას.

## ხარშო

მასალა: 3-4 თავი ხახვი, ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი ან 100 გრამი კარაქი, გნებავთ 50 გრამი ერბო. ნახევარი ჩაის ჭიქა გატარებული ნიგოზი, ნახევარი ჩაის ჭიქა ბრინჯი, თითო ჩაის კოვზი დაფქვილი ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი (ზაფრანა), 6-7 კბილი ნიორი, ნახევარი ღვინის ჭიქა ტომატი ან ამდენივე ტყემალი, გნებავთ ერთი სუფრის კოვზი ძმარი.

5-6 ჭიქა მდუღარე წყალში მოხარშეთ ბრინჯი, წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ ცხიმში, გახსენით 1 ჭიქა ცივ წყალში ნიგოზი, ტომატი, ძმარი ან ტყემალი, ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი, დანაყილი ნიორი, დანის წვერით პილპილი და მოშუშულ ხახვთან ერთად ჩაამატეთ მოხარშულ ბრინჯს. თუ წვენი სქელია, დაუმატეთ ცხელი წყალი, უყავით მარილი გემოვნებით და წამოადუღეთ 2-3 წუთი. ხარშო შეგიძლიათ მიირთვათ ღომთან.

## კარტოფილის ტოლმა

მასალა: 1 კილოგრამი კარტოფილი, 1 თავი სატოლმე (ფუყე) კომბოსტო, 4-5 თავი ხახვი, ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი, 200 გრამი ყველი, თითო კონა კამა და ოხრახუში, 1 ჩაის ჭიქა არაჟანი.

მოხარშული კარტოფილი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შეურიეთ წვრილად დაჭრილი და ცხიმში მოშუშული ხახვი, ღეროებმოცლილი და წვრილად დაჭრილი კამა და ოხრახუში, მარილი გემოვნებით.

კომბოსტოს ფოთლებს მოაცილეთ სქელი ზედა ნაწილი, გაანაწილეთ კარტოფილი ყოველ ფოთოლზე თანაბრად, შეახვიეთ ტოლმისებურად, დააწყვეთ ტაფაზე და შეწვით (არ დაგეწვათ). ძირი რომ შეებრაწება გადმოაბრუნეთ, მოაყარეთ თავზე დაფხვნილი (დახეხილი) ყველი და შედგით გახურებულ ღუმელში 5 წუთით. მზა ტოლმა მოათავსეთ შესაფერის ლანგარზე, მოაყარეთ მწვანილი და მიირთვით არაჟნით.

## სახალისო კერძი წითელი ბულგარული წიწაკით

მასალა: 600 გრამი ბულგარული წიწაკა, 6 ცალი კვერცხი, ერთი ღვინის ჭიქა (მოხარშული და არა გადახარშული) ბრინჯი, 3-4 თავი ხახვი, 1 ჩაის ჭიქა მზესუმზირის ზეთი, 3 ცალი პამიდორი (ან ნახევარი ჭიქა ტომატი), 1 კონა ოხრახუში, ნახევარი ჩაის კოვზი შავი პილპილი. მარილი გემოვნებით.

ყუნწებდაცლილი და თესლგამოცლილი წიწაკა დაჭერით ძალიან წვრილად (ვერმიშელისებურად) ან თხელ რგოლებად. დაყარეთ ტაფაზე და მოშუშეთ ნახევარ ჭიქა ზეთში ძალიან ნაზ ცეცხლზე, დარჩენილ ზეთში ცალკე მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მოშუშულ წიწაკას მოაყარეთ ზემოდან ხახვთან ერთად შერეული ბრინჯი, მცირეოდენი მარილი, მოასხით წვრილად დაჭრილი პამიდორი ან ტომატი, მოაფრქვიეთ შავი პილპილი, გადაასხით ზემოდან ათქვეფილი კვერცხი და შედგით გახურებულ ღუმელში 6-8 წუთით.

## პირშუშხა სალათი

მასალა: 300 გრამი თეთრი, მკვრივი კომბოსტო, 300 გრამი სტაფილო, 300 გრამი ბოლოკი, 3 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, ძმარი, ზეთი, მდოგვი, ქინძი, კამა, ახალი ხახვი.

დაჭერით კომბოსტო რაც შეიძლება წვრილად, მოაყარეთ მარილი და ოდნავ შესრისეთ. ასევე წვრილად (სიგრძეში) დაჭერით თესლგამოცლილი წიწაკა, მსხვილ სახეხზე სიგრძეში დახეხეთ სტაფილო (შიდა გულის გარეშე) და ბოლოკი. ყველაფერი მოათავსეთ ერთ თასზე, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, კამა, ხახვი. ნახევარ ჭიქა ძმარს შეურიეთ ორი სუფრის კოვზი მდოგვი, 1 ღვინის ჭიქა ზეთი, მოასხით თასზე მოთავსებულ ბოსტნეულს, აურიეთ. შეამოწმეთ მარილი, ყოფნის თუ არა და პირშუშხა სალათი მზადაა.

## ჭარხალი ტყემალში

500 გრამი გარეცხილი ჭარხალი მოხარშეთ, მოაცილეთ კანი და დაჭერით გრაგნილი დანით. მიეცით სხვადასხვა ფორმა.

1 ჭიქა ტყემლის საწებელი შეაზავეთ 5-6 კბილი დანაყილი ნივრით, წვრილად დაჭრილი ქინძით, 2 სუფრის კოვზი ძმრით, 2 სუფრის კოვზი მზესუმზირას ზეთით, ჩაალაგეთ შიგ დაჭრილი ჭარხალი და შეინახეთ მაცივარში თუნდაც მთელი კვირით.



**რედაქციის მისამართი:**
**280096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**
**V სართული**
**რედაქტორის**
**ტელეფონი:**
**99-98-71**

**ჟურნალში რეკლამების განთავსების მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:**

**99-98-71, 93-43-02**

# უცხოური იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ფიშერი





უსიტყვოდ...



1 — №86/1

ეროვნული ბიბლიოთეკა



მზექალა



დედა-შვილი



იზა ნადირაძე ლუდმილა შაპოშნიკოვასთან ერთად

მხატვრების — იზა ნადირაძის და მზექალა ბერძენიშვილის

შესახებ მასალა იხილეთ მე-9 გვერდზე



ფანი სააკაშვილი

იზა ნადირაძე — „ფაუნა"



მზექალა ბერძენიშვილი — „სიყვარული"